სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოსროშვილი

● №3 (4597) ● 2 ივნისი ● 2021 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

გილოცავთ სასწავლო წლის მშვიდობიანად დამთავრებას!

„ლომისელებმა“ სასწავლო წელი წარმატებით დაამთავრეს

პანდემიას „აჯობეს“ და დისტანციურ სწავლებასაც კბილები მოუსინჯეს

ღვთითკურთხეულია მრავალპროფილიანი კერძო სკოლა **„ლომისი“**. თითქმის მეოთხედი საუკუნეა მოსწავლე ახალგაზრდობას ზრდის ილიას ტრიადის **„ენა, მამული, სარწმუნოება“** ერთგულებით.

სიმბოლურია, რომ ამ სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ ეროვნული და განათლების სფეროში გამოჩენილ მოღვაწეთა ოჯახში აღზრდილი, თავად ბრწყინვალე პედაგოგი **თამარ ბარძიმაშვილი**.

ურთულეს დროში ვცხოვრობთ: წარსულში საზოგადო მოღვაწეთა სახელებს დავიწყების ბინდი ეფინება. დღეს გოგებაშვილის დონის პედაგოგიც რომ იყო, არავინაა შენი დამფასებელი. არადა, თამარის მამა **ზურაბ ბარძიმაშვილი** დიდი ეროვნული მოღვაწე იყო, ისეთი კაცი, რომელზეც გალაკტიონი წერდა: „დიდება ქვეყნისთვის წამებულ რაინდებს!“ დედა **მარი გუგეშაშვილი** კი იმ უმძიმეს ვითარებაში უნარიანად უძღვებოდა გლდანის რაიონის განათლების განყოფილებას.

ეს შესავლის სახით. ახლა დღევანდელობაში გადმოვინაცვლოთ.

როგორ გაართვეს თავი დისტანციურ სწავლებას, სხვა პანდემიურ პრობლემებს? როგორია სასწავლო წლის შედეგები?

ამ საკითხებს უფრო კონკრეტულად ქვემოთ შევეხებით.

* * *

უნდა ავღნიშნოთ, რომ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის გამოცხადებიდან მაქსიმალური მობილობა მოახდინა სკოლამ და ორ დღეში გამართული სისტემით შევუდექით მუშაობას. მაშინვე შედგა ახალი ცხრილი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩვენი ონლაინ გაკვეთილების რაოდენობა დიდად არ ჩამოუვარდებოდა ჩვეულებრივ ფიზიკურ სივრცეში არსებულ საგაკვეთილო ცხრილს. მიუხედავად იმის, რომ გამოცდილება არ გვქონდა, მაქსიმალურად მოკლე დროში მოხერხდა ადაპტირება ახალ გარემოსთან, რაც განპირობებული იყო მთელი პედაგოგიური კოლექტივის და დირექციის აქტიური ურთიერთთანამშრომლობით. თავიდან იყო ბევრი ტექნიკური ხარვეზი. სისტემა ვერ უძლებდა დატვირთვას და ხშირი იყო ჩავარდნები, მაგრამ პედაგოგები დამატებითი გაკვეთილების ხარჯზე ანაზღაურებდნენ ტექნიკურად გაუმართავ გაკვეთილებს, ამან განაპირობა კიდეც აკადემიური მოსწრების მაღალი დონე. მშობლებმა აქტიურად ჩაიხედეს სკოლის მუშაობის ხარისხში და დიდი მადლიერებაც გამოხატეს სასწავლო წლის ბოლოს.

სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრით. სულ 31 (ოცდათერთმეტი) პედაგოგია დასაქმებული საგაკვეთილო პროცესში, აქედან წამყვანი პედაგოგია - 2.

25 პედაგოგი არის უფროსი მასწავლებლის კვალიფიკაციით, დანარჩენი 4 პედაგოგიც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად გამოცდებზე გადიან. ვუსურვებთ მათ წარმატებებს.

ჩვენი სკოლა მცირე კონტიგენტიანია. მისი ფართიდან გამომდინარე, სულ 300 მოსწავლეზე გვაქვს ლიცენზია და ამის მიზეზით არ გვყავს ბევრი პარალელური კლასი. წელს მხოლოდ ერთი მე-4 კლასი ემშვიდობება თავის პირველ მასწავლებელს - **ნინო თოდუას**. მიუხედავად პანდემიისა, **ნინო თოდუამ** მაქსიმალურად იმუშავა თავის მოსწავლეებთან, ატარებდა ძალიან საინტერესო შემეცნებით გაკვეთილებს, პროექტებს, პრეზენტაციებს. მოახერხა ბავშვების გაყვანა მუზეუმებში. პანდემიამდე არაერთი შემეცნებითი ვიზიტი განახორციელეს თბილისის და საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებში. იყვნენ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში - ვარიანში, დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, მცხეთის ღირსშესანიშნაობები, შოკოლადის მუზეუმი, ქარვასლა, საკრავების მუზეუმი და ასე შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სკოლა გამოირჩევა არაფორმალური განათლების მაღალი დონით. სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი, მათ შორის აქტიურია: **ისტორიკოსთა კლუბი**, **ჟურნალისტთა კლუბი**, **მკითხველთა კლუბი,** სადაც ბევრი მოსწავლე სისტემატურადაა ჩართული და ხშირად იმართება ვებინარები. პანდემიის პერიოდშიც არ გაჩერებულა ამ კლუბების აქტიური საქმიანობა და არაერთი საინტერესო ონლაინ ვებინარი ჩატარდა. გარდა ამისა, დიდი პოპულარობით სარგებლობს ინტელექტუალური თამაში **„რა? სად? როდის?“**, რომელიც წელს ონლაინ პლატფორმით ჩატარდა VII-XII კლასებში. სკოლას ჰყავს ძალიან აქტიური მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელმაც მთელი მართველობის ინიციატივით ჩატარდა მთელი სერია შემეცნებითი-ინტელექტუალური აქტივობებისა, სადაც ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების დიდი უმრავლესობა. ზუმის პლატფორმაზე მოხდა შეხვედრები არაერთ საინტერესო სტუმართან, როგორებიც არიან: ფსიქოლოგი **ნუგზარ კოხრეიძე**, მსახიობი და ექიმი **ოთარ ტატიშვილი**, მწერალი **დავით ტურაშვილი**, ჩვენი სკოლის დირექტორი **თამარ ბარძიმაშვილი** და ა.შ. სკოლის მოსწავლეთა გუნდები აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა ონლაინ კონკურსში თუ პროექტში. რესპუბლიკურ პროექტში **„სამართალდამცავი 2“** ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა და საუკეთესო სკოლის ტიტული მოიპოვა. გუნდის კაპიტანმა, ჩვენი სკოლის თვითმართველობის თავმჯდომარემ, **თეიმურაზ ხოჯაშვილმა** საუკეთესო კაპიტნის ტიტული დაიმსახურა, ხოლო პედაგოგი **ნოდარ თოთაძე**, რომელიც ჩვენი გუნდის ფასილიტატორი იყო, საუკეთესო მასწავლებლად დასახელდა.

ონლაინ სწავლების პერიოდში მოწყენის საშუალება არ მისცა ახალგაზრდებს. სკოლის თვითმართველობის ინიციატივით ჩატარდა ინტელექტუალური ოლიმპიადა, ეძღვნებოდა ეროვნული ენციკლოპედიის 100 წლისთავს. ასევე ჩატარდა ინტელექტუალური ოლიმპიად

„... და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი“ (გალაკტიონი)

თბილისის მე-9 საჯარო სკოლაში

„ქეთოს მერცხლები“ მეხუთე კლასში გადაფრინდნენ

მიუხედავად დიდი სირთულეებისა, წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი მე-9 სკოლელებმა.

ყველაფერი ეს ძლიერი პედაგოგების, ერუდირებული, ენერგიული დირექტორის **მარინე გიგაურისა** და მისი გამოცდილი მოადგილის **ელეონორა ფერაძის** თავდადებული შრომის შედეგია.

დიდი ყურადღება ექცეოდა დაწყებით განათლებას უნარიანი კოორდინატორის, კათედრის გამგის **თამარ მაისურაძის** წინამძღოლობით.

მე-5 კლასში კარგად მომზადებული მე-4 კლასელები გადასკუპდნენ.

ამ წერილის წერისას უნებლიედ პოეტ **ლიდია მეგრელიძის** ლექსი გამახსენდა: „გაფრინდა ქეთოს მერცხალი, აღარ ჭიკჭიკებს ბანზედა, ქეთო კი მოწყენილი ზის, ცრემლი უელავს თვალზედა.“

ოთხი წელი შეუბუმბლავ წიწილებს დედასავით ეფერებოდი, ფრთამალ მერცხლებად აქციე და გაგიფრინდნენ. არ არის ეს ადვილი გადასატანი. გულს ნუ გაიტეხთ მასწავლებლებო. სექტემბრიდან ახალი მერცხლები აჭიკჭიკდებიან თქვენს აივანზე.

განშორების განცდებთან დაკავშირებით მოვისმინოთ პირველ მასწავლებელთა აზრი.

* * *

IV[დ] კლასი, **თამარ მაისურაძე** (წამყვანი მასწავლებელი)

მუდამ მეყვარებით!

პირველი კლასიდან მოვყვები 25 განსხვავებული ხასიათის, თავისებურებისა და შესაძლებლობის მოსწავლეს.

ამ ოთხმა წელიწადმა ერთმანეთს დაგვაკავშირა სიყვარულის იმ ძაფებით, რომლებიც, მგონია, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. მინდა, ბევრი წლის შემდეგ, როცა ფიქრებით ბავშვობაში დაბრუნდებიან, იქ მეც დამინახონ, როგორც არამხოლოდ წერა-კითხვის მასწავლებელი, არამედ ის, ვინც მათ მეგობრად თვლის, მათი წარმატება უხარია, მათი სიხარულის და ბედნიერების თანაზიარია .

მე-5 კლასში გადამიფრინდნენ კარგად მომზადებული გოგო-ბიჭები: **თეკლე ალფაიძე, დაჩი ამონაშვილი, ნიკოლოზ ბარელაძე, მარიამ ბოჭორიშვილი, ლიზი გაბელაშვილი, გიორგი დიდებელი, ცოტნე კვარაცხელია, გიორგი**

მაზანაშვილი, თეკლა მაღლაკელიძე, ნიკოლოზ მონასელიძე , ნინო მაყიშვილი, ანა რევაზიშვილი, ნიკოლოზ სარიჯაშვილი, ქეთევან სოლოღაშვილი, ლილე ქართელიშვილი, თამარ ქლიბაძე, ზაზა შოთნიაშვილი, საბა წიქორიძე, გიორგი ჭადაშვილი, ბარბარე ხვისტანი, მარიამ ხურციძე, მართა ხაჯალია, ანასტასია ჯანგიძე, მარიამ ჯვარიძე, ნიკოლოზ ჯინჭარაძე.

ცხოვრების გზა დაგელოცოთ, ჩემო ცუგრუმელებო!

* * *

IV[ბ] კლასი, **ხათუნა ჯორბენაძე** (წამყვანი პედაგოგი)

მეგობრებად დავრჩებით!

ოთხმა წელმა სწარაფად გაირბინა. თითქოს გუშინ იყო სკოლის კარი რომ შემოაღეს და ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით შემოანათეს. მათთან ერთად თავიდან ვსწავლობდი დედაენას. წერა-კითხვას, 2+2 და ბუნების კანონებს, მეგობრობრის სიყვარულსა და ერთგულებას, სიკეთის ფასს, ზრდილობის ნორმებსა და ერთმანეთის სიყვარულს.

სასკოლო საგნების წარმატებით შესწავლის პარალელურად, IV[ბ] კლასის მოსწავლეებმა შეიძინეს უნარ-ჩვევები, რასაც ცხოვრების გრძელ გზაზე გამოიყენებენ.

ამ ოთხი წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს და ღირსეული გამარჯვებები მოიპოვეს ოლიმპიადებში, სასკოლო ღონისძიებებსა და პროექტებში. გაითავისეს, რომ არ უნდა შეუშინდნენ სირთულეებსა და ჰქონდეთ საკუთარი თავის იმედი. ისინი ეზიარნენ კინოსა თუ თეატრში, მუზეუმსა თუ ღია გარემოში ყოფნის ბედნიერებას.

ჩემო პატარებო, მიყვარხართ! გზას დაგილოცავთ და გახსოვდეთ, რომ განათლება მნიშვნელოვანია, თუმცა უპირველესი აუცილებლობაა იყო კარგი ადამიანი!

მეხუთე კლასელები გახდნენ: **ირაკლი აბაშიძე, დავით ავსაჯანიშვილი, ანა ბაკაშვილი, ვაჟა გადაბაძე, მარიამ დურგლიშვილი, მარიამ ვაშაკიძე, საბა ზარქუა, ანასტასია თაქთაქიშვილი, დათო მეგრელიშვილი, ლუკა მესხაძე, ფრიდონ მოსიაშვილი, ხატია მუხიგულაშვილი, ნიკოლოზ სიფრაშვილი, გაბრიელ ქავთარაძე, ელენე ღვალაძე, ნინო ღვინჯილია, ელენე ჩულუხიძე, გიორგი ცქიფურიშვილი. ერეკლე ჭეჭელაშვილი, ნინო ჯალაბაძე, ალექსანდრე ჯანიაშვილი.**

მეიმედებით, ვიცი, რომ მასახელებთ და იქნებით სანიმუშო და წარმატებული პიროვნებები!

* * *

IV[ა] კლასი, **მაია კვესელაძე** (უფროსი მასწავლებელი)

გზას დაგილოცავთ!

ერთად დაძაბული, მხიარული ცხოვრებით ვცხოვრობდით. მოსწავლეები ვმონაწილეობდით საინტერესო ღონისძიებებში, გვახსოვს ბევრი წარმატებით გამოწვეული სიხარული. მათ ისწავლეს, რომ არ უნდა შეუშინდნენ გამოწვევებს, ცხოვრებისეულ სირთულეებს და ნებისმიერ ვითარებაში უნდა იყვნენ ღირსეულები. ისწავლეს მგობრობის და სიყვარულის ფასი, ერთურთისა და უფროსების პატივისცემა. ისინი ყოველთვის გრძნობდნენ მასწავლებლების თანადგომას, სიყვარულსა და პატივისცემას. კარგად მომზადებულნი გადავიდნენ მე-5 კლასში.

იმედი მაქვს, სიყვარულით ივლით მომავალშიც და მრავალ სიმაღლეებს დალაშქრავთ!

ნათელი ყოფილიყოს თქვენი მომავალი გზა! წარმატებით იარეთ სულ წინ და წინ! გახსოვდეთ „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს!“

* * *

IV[ბ] კლასი, **ეკა ნასრაშვილი** (უფროსი მასწავლებელი)

არ დაგივიწყებთ!

მაშინ მოულოდნელად ბავშვებს უსაყვარლესი დამრიგებელი, ქ-ნი **თამარ ნოდარიშვილი** გარდაეცვალათ. ჯერ ისევ პირველ კლასში იყვნენ ჩემი პატარები, როცა მე ვითავე მათი დამ-

რიგებლობა. მას შემდეგ ერთად მოვდივართ. ვმონაწილეობდით სასკოლო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში. მათ ყველაზე ლამაზი, საინტერესო, განუმეორებელი დღეები მაჩუქეს. ჩვენ ერთად ვსწავლობდით არამარტო სასწავლო დისციპლინებს, არამედ მეგობრობას, სიყვარულს, ერთურთის პატივისცემას, წრფელ და ხალას ურთიერთობებს,

მადლობა ჩემს საყვარელ ბავშვებს საინტერესო წლებისთვის, ბედნიერი ვარ, მათი მეგობარი რომ მქვია!

მიყვარხართ, მეიმედებით!

სულ მალე დამემშვიდობებიან: **საბა-იობი აფხაზავა, ბარბარე ბაკურაძე, ლაზარე ბარბაქაძე, მარიამ გამხუაშვილი, ილია გვრიტიშვილი, ხატია გოგსაძე, გიორგი დათუნაშილი, სალომე ეყანიშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, თიკა ზეიკიძე, ნიკოლოზ ივანაური, ბაგრატიონ იუსუპოვი, საბა კეკუტია, ანი ლომიძე, ლუკა მგალობლიშვილი, ლუკა ნაჭყებია, შოთა სარალიძე, დანიელ სულთანიშვილი, გიორგი ყიფშიძე, თამარ შალამბერიძე, ელენე ხალვაში და ელენე ხეტეშვილი.**

ვიცი, მასახელებთ. არ დაგივიწყებთ, ვიცი, თქვენც ასე მოიქცევით.

* * *

ცოტაც და დაიწყება დიდი არდადეგები. შინაარსიან, ჯანსაღ, მხიარულ დასვენებას გისურვებთ, პაწია მეგობრებო!

თამარ მაისურაძე,
კათედრის ხელმძღვანელი

თბილისის 154-ე საჯარო სკოლაში

პირველ მასწავლებელს დაემშვიდობნენ

პედაგოგიური კოლექტივის, დირექტორ **გიორგი გარსიძის,** მისი გამოცდილი მოადგილე **ხათუნა უზნაძისა** და სხვა მუშაკთა დაძაბული შრომის შედეგად სასწავლო წელი მშვიდობიანად დასრულდა.

პრიორიტეტული ყურადღება ექცეოდა სწავლა-აღზრდის დედაბოძ დაწყებით განათლებას, რომელსაც უნარიანად კურატორობდა გამოცდილი პედაგოგი, კათედრის ხელმძღვანელი **მანანა ფარულავა.**

სწავლების II საფეხურისთვის კარგად მომზადებული პატარები მე-5 კლასში გადავიდნენ. მადლიერების გრძნობით დაემშვიდობნენ პირველ მასწავლებელს, რომლის ამაგს მუდამ ასე აფასებდნენ: „შეგვასწავლა ანი-ბანი, შეგვაყვარა დედაენა, ფრთებს გვისწორებს, თავს გვევლება, რომ თამამად შევძლოთ ფრენა.“

განშორების ემოციებზე თავად პირველ მასწავლებლებს მოვუსმინოთ.

ლია ოდიშელი

***

IV[2] კლასი, **ლია ოდიშელი** (უფროსი მასწავლებელი)

გზას დაგილოცავთ!

„მიმატოვეს“, მე-5 კლასში გადასკუპდნენ ჩემი გოგო-ბიჭები: **თემურ ასანიძე, მართა არფანია, ანა ასლანიშვილი, ავთო ასლანიშვილი, ნინო ბადურაშვილი, გაბრიელ ბუჩუკური, ნიკა თაირიშვილი, დათო მეუდოიანი, მარი მჭედლიძე, ვაკო პარსალიშვილი, დემეტრე სახვაძე, ქეთო სინჯიკაშვილი, ლიზი სუარიძე, ზაზა შავაძე, ცოტნე ცირეკიძე, ლუკა ძუკაევი, კესო ჭანტურია, ლიზი ტამოევი, მარი დვალიშვილი და მარი ყაზაშვილი.**

ჩემს ხელში დაფრთიანდნენ, სექტემბრიდან კი ახალი დამრიგებლის ხელში აღმოჩნდებიან. მახსოვს, რა პაწიები ჩავიბარე, ოთხი წლის მერე კი დაფრთიანებულ-მომზადებულებს ვუშვებ.

მათთან ერთად ბევრი რამ ტკბილად მომაგონდება: 14 აპრილს „დედა ენის“ ბაღში ზეიმი. იმღერეს, ლექსები თქვეს, გამოვუშვით კედლის გაზეთი.

არც მათ დაავიწყდებათ სხვა ღონისძიებები: თეატრები, ექსკურსიები, კონკურსები, სპორტული შეჯიბრებები...

მინდა მათ ცხოვრების ახალი ეტაპი დავულოცო, არასოდეს დამავიწყდებით და არც თქვენ დაივიწყოთ თქვენი პირველი მასწავლებელი, ძვირფასო ბავშვებო!

***

IV[3] კლასი **ნინო მამასახლისი** (უფროსი მასწავლებელი)

არ დაგივიწყებთ!

მეხუთე კლასში გადავიდნენ: **ნოდიკო აბულაძე, ბარბარე ბაქრაძე, აკაკი ბაღაშვილი, ირაკლი ბორჩხაძე, გიორგი გაწერელია, მარი გოშაძე, ლიზი გრიგორიანი, ვასიკო გურგენიძე, ალექსანდრე ზავრადაშვილი, ნათია თორელაშვილი, საბა ლაზარაშვილი, ლუკა ლებანიძე, გიორგი ლურსმანაშვილი, გიორგი მღვდელაძე, მარიამ მღვდელაძე, ნიკა ტაკიძე, გიორგი უშარიძე, დათო ფეტვიაშვილი, ნათია ცერცვაძე, გვანცა ძლიერაშვილი, თამარ ხატოიანი და გიორგი ჯღარკავა.**

მოვყვები მათ პირველი კლასიდან. ძალიან მიჭირს მათთან დაშორება. ყოველთვის აქტიური კლასი იყო. ყოველ ახალ წელს ვაწყობდით სახალისო ღონისძიებებს, დავდიოდით თეატრში, ექსკურსიებზე, ვიყავით გარდენიაში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში და კიდევ ბევრგან.

ყოველ დილით ბედნიერი ვიყავი, როცა თქვენს ცნობისმოყვარეობით ანთებულ თვალებს ვუყურებდი, საიდანაც დიდი სიყვარული იღვრებოდა. არ დაგივიწყებთ და არც თქვენ დამივიწყოთ!

ნინო მამასახლისი

* * *

კიდევ ცოტა და დაიწყება ზაფხულის არდადეგები. მის მხიარულად, შინაარსიანად, ჯანსაღად გატარებას გისურვებთ, აწ უკვე მეხუთეკლასელებო!

მანანა ფარულავა,
კათედრის ხელმძღვანელი.

გვერდი მოამზადა

ბორის კინდღელმა

106-ე საჯარო სკოლის წარმატებული სასწავლო წელი

დისტანციურშიც დაოსტატდნენ და პანდემიასაც კუდით ქვა ასროლინეს

გაგეცინებათ, პანდემიას კუდით ქვა ასროლინესო. გადატანითი მნიშვნელობით, ხუმრობით ნათქვამია, მაგრამ ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა, ნახევარი სიმართლე არ იყოს, - ესეც ნათქვამია.

ამ სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, დირექტორმა **თენგიზ გულორდავამ**, მოადგილე **ნაზი სეთურიძემ,** ყველა მუშაკმა მართლაც დიდი წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი. არა თუ ძველი მიღწევები შეინარჩუნეს, არამედ უფრო წინაც გაიჭრნენ.

ეს გამარჯვება როგორი შრომის შედეგია, ვინ არ იცის, მაგრამ არ შემიძლია სკოლის დირექტორის თავდადებაზე ორიოდე სიტყვა არა ვთქვა.

გამეორება ცოდნის დედაა.

გამეორება მოწინავე გამოცდილების გაზიარებაც არის. ამ კუთხით თუ მივუდგებით, მისაბაძია ბატონ **თენგიზ გულორდავას** მოღვაწეობა. მეოთხედი საუკუნეა იგი სკოლის ხელმძღვანელის მძიმე ტვირთს ნაყოფიერად ესწევა. შედეგიანი იყო მისი მოღვაწეობა მე-5 საჯარო სკოლაში, მერე ფენიქსივით ააღორძინა გლდანულას 59-ე და აქ, 106-ში რაც გააკეთა, ყველასთვის თვალსაჩინოა.

წინა სტატიაში ვწერდი, **თენგიზ გულორდავა** უნდა მოვიაზროთ-მეთქი იმ საამაყო, გამოჩენილ პედაგოგთა თანავარსკვლავედში, როგორებიც იყვნენ და არიან: **გრიგოლ კობახიძე, დავით გონდაური, აკაკი ელიაური, გედეონ ძნელაძე, დემურ კალანდაძე, მიხეილ მინდაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი...** და ღირსეულად დაფასდეს-მეთქი მისი ღვაწლი.

მართლაც და, თუ დაწესებულია უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებლის სტატუსი, დირექტორებმა რა დააშავეს?

სკოლის დირექტორებისთვის ახლო წარსულში დაწესებული იყო სათანადო რეგალიები სახელწოდებით: „წლის საუკეთესო დირექტორი“, „ათი ვარსკვლავი“ და სხვა.

განათლების სამინისტროს ვთხოვთ, აღადგინოს ეს უსამართლოდ მივიწყებული ტრადიცია.

როგორ გაართვეს თავი დისტანციურ სწავლებას და რა შედეგებით დაასრულეს სასწავლო წელი? ამ თემაზე წერილის მოწოდება ვთხოვეთ სკოლის ჩინებულ მასწავლებელს **ინა მეცხვარიშვილს.**

* * *

ბოლო შვიდი წელია, რაც სკოლა უწყვეტად წარმატებულ და ნაყოფიერ ხანას გადის. სწორედ ამ დროიდან დაიწყო სკოლაში მოსწავლეების რაოდენობის ზრდა. 6 წელია, რაც სკოლა 7 პარალელურ პირველ კლასს ხსნის. მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, რომელსაც ქმნის მაღალკვალიფიციური პედგოგთა გუნდი სკოლის ხელმძღვანელთან ერთად, მშობელთა ნდობას იმსხურებს. სკოლა, თავის რეგიონში, ძალიან მოთხოვნადი და პოპულარული გახდა, სახელი გაითქვა ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა:

უსაფრთხო სკოლის სტატუსი,

პროფესიონალი და გამორჩეული კადრები. სკოლაში ამ კუთხით, მართლაც მისაბაძი მდგომარეობაა. 68 პედაგოგიდან 1 პრაქტიკოსი, 6 მაძიებელი, 57 უფროსი და 5 წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებელია. სკოლის ხელმძღვანელი შესაძლებლობას აძლევს დამწყებ მასწავლებლებს აიმაღლონ სტატუსი.

პედაგოგებს შორის მაღალი კოლეგიალობაა, მუდმივი მზადყოფნაა თანამშრომლობისთვის, გამოცდილების უანგარო გაზიარებისთვის. ეს ყველაფერი სასიკეთოდ აისახება სკოლის პრესტიჟსა და მის შემდგომ განვითარებაზე. აქ მომუშავე თითოეული ადამიანის, მათ შორის ადმინისტრაციისა და ხელმძღვანელის ერთმანეთისადმი კოლეგიალური დამოკიდებულება პოზიტიური მაგალითია მათი აღსაზრდელებისა და მშობლებისთვის. ასეთი წარმატებული მუშაობის ნაყოფიერი შედეგია ყოველწლიურად პირველკლასელთა მრავალრიცხოვანი ნაკადის შემოდინება, უძლიერესი კადრების მიღება, მოსწავლეების წარმატებები სხვადასხვა ოლიმპიადებსა და ღონისძიებებში, რომელთა შორისაც აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიადაში მიღწეული წარმატება, სადაც ჩვენი სკოლის 11 მოსწავლემ დიდ წარმატებას მიაღწია.

უკვე დასრულებულ სასწავლო წელს სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა ექვსმა მე-12 კლასელმა, ესენი არიან:

ლაშა ალიევი, ეკატერინე ნოზძე, მარიამ ბატიაშვილი, ლუკა გაბლიშვილი, სოფიო ჩიხლაძე, მარიამ პაპავა.

ხოლო ვერცხლის მედალოსნები გახდნენ:

ნინი კუტუბიძე, სალომე უბილავა, გიორგი ცისკარაშვილი.

სკოლაში განხორციელებული და ტრადიციად ქცეულია მოსწავლეთა მამოტივირებელი აქტივობები, მათ შორისაა სკოლის ხელმძღვნელის ინიციატივით წამოწყებული აქტივობა, რომლის ფარგლებშიც ყველა წარჩინებულ მე-12 კლასელს მისი სახელობის ვარსკვლავს უხსნიან სკოლის ეზოში.

გამორჩეული წარმატებები გვაქვს საგანმანათლებლო პორტალ „იზრუნე.გე“-ში, „სუპერ სკოლის“ ტიტული მოვიპოვეთ.

მუდმივად ვზრუნავთ სწავლის ხარისხის ამაღლებაზე. აღსანიშნავია სკოლის ადმინისტრაციის და უშუალოდ, ხელმძღვანელის დიდი როლი

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ წარამატებაში. დირექტორი **თენგიზ გულორდავა** მუდმივად იმის ფიქრსა და მოქმედებაშია, თუ როგორ შეუწყოს ხელი და მიეხმაროს საკუთარ სკოლას წინსვლაში. 2013 წლიდან, არ გავა წელი ისე, რომ მან თავის მოსწავლეებსა და პედაგოგებს არ დაახვედროს წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებული სასკოლო გარემო, სკოლის ხარჯებით იხვეწება და ვითარდება სკოლის ინფრასტრუქტურა.

პანდემიას ვერ შეუშლია ხელი სკოლის წარმატებული მუშაობისთვის. წელს სკოლა შეუერთდა ,,ახალი სკოლის“ მოდელს. პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა ტრენინგებმა, მათ შორის ტექნიკური მიმართულების, მნიშნელოვანი დახმარება აღმოუჩინა მასწავლებლებს, ონლაინ სასწავლო რეჟიმს გამკლავებოდნენ და სასწავლო პროცესიც, ტრადიციულად, აქტიურ ფორმატში წარემართათ. ყველა მასწავლებელი დიდი მონდომებით გეგმავდა და ატარებდა ონლაინ ფორმატის გაკვეთილებს.

სკოლაში მაქსიმალლურადაა დაცული ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციები, რათა პანდემიის პირობებში, სასწავლო პროცესი, მაქიმალურად აქტიურად წარმიმართოს ტრადიციულ ფორმატში, სასკოლო სივრცეში.

მე-4 კლასის მოსწავლეებისთვის განსაკუთრებული წელია, ისინი ემშვიდობებიან თავიანთ პირველ დამრიგებლებს. სკოლას 7 მე-4 კლასი ჰყავს. ისინი გამოსამშვიდობებელ ღონისძიებას რთობლივად გეგმავენ, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად იქნება დაცული რეგულაციები. ცისარტყელის 7 ფერად გაფერადდებიან მოსწავლე -მასწავლებლები და ერთმანეთს მადლობას გადაუხდიან საინტერესო და წარმატებული საერთო 4 წლისთვის.

კლასის დამრიგებლები: **ლია გასიტაშვილი რიტა ყიფშიძე იაკო ბრეგვაძე თამუნა შოშიაშვილი ნონა ღვინაშვილი თამთა ქვაჭრელიშვილი მაია ზაალიშვილი,** ამაყობენ თავიანთი მოსწავლეებით, რადგან, მათ ღირსეულად შეძლეს პანდემიის პირობებშიც წარმატებით დაესრულებინათ სასწავლო წელი.

თბილისის, **ზურაბ იარაჯულის** სახელობის სკოლა ამაყობს თავისი მოსწავლეებით და აქტიური, შვილებზე სწორად მზრუნველი ოჯახებით. ერთობლივი მუშაობის შედეგია სკოლის მრავალმხრივი წარმატება.

დაწყებითი კლასის პედაგოგი

ინა მეცხვარიშვილი

რედაქციის მინაწერი: **ინა მეცხვარიშვილს** ვიცნობთ, როგორც დაწყებითი კლასების ბრწყინვალე პედაგოგს. რედაქციისთვის სიურპრიზია, რომ მას ასევე ჰქონია ჟურნალისტობის დიდებული ალღო და ნიჭი.

დიდი მადლობა, ინა, ასეთი კარგი სტატიისათვის!

„ალბიონი“ ცხოვრებისთვის თაობებს ამზადებს

აი, სასწავლო წლის შთამბეჭდავი შედეგები

მეორე არ მეგულება ევროპული სტანდარტების დონეზე ისეთი კეთილმოწყობილი, კომფორტული და კოხტა სასწავლო-აღმზრდელობითი კერა, როგორიც **„ალბიონია“.** ყველა საქმიანობა შედეგებით ფასდება. თუ ამ საზომით მივუდგებით, საამაყოდ აქვთ საქმე „ალბიონელებს“. ვინ მოთვლის, ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე რამდენი ახალგაზრდასთვის მიუცია მყარი ცოდნა-განათლება, ცხოვრების ეს მყარი საგზური.

ქება და მადლობა **„ალბიონის“** დამფუძნებლებს: **ალექსანდრე ჯავახიშვილსა** და **ვენერა ჩიფჩიურს,** დირექტორის მოადგილე **მარიკა ილურიძეს**. მათი სახელები სახელოვანი პედაგოგების იმ პლეადას ამშვენებს, რომლებიც იყვნენ და არიან: **გრიგოლ კობახიძე, დავით გონდაური, ლევან ჩიქვანაია, მიხეილ მინდაძე, დემურ კალანდაძე** და სხვები.

ყველაფერი, რაც სახეზეა, მიღწეულია დამფუძნებლებთან ერთად სკოლის ყველა პედაგოგისა და მუშაკის თავდადებული შრომით.

პანდემიამ, რომელიც აგერ წელიწადნახევარია სულს გვიხუთავს, ბევრი გამოწვევა-გამოცდის წინაშე დაგვაყენა, ახალი პრობლემები შექმნა. „ალბიონელთა“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებით გადალახეს ჰიბრიდული ე. ი. დისტანციური და დასწრებული სწავლების სირთულეები. გაგონილს დანახული სჯობსო-ნათქვამია.

გთავაზობთ სკოლიდან მიღებული ინფორმაციის შემოკლებულ ვარიანტს.

* * *

„სასწავლო წლის დასაწყისიდანვე მასწავლებლებისათვის და მოსწავლეთათვის, გამოიკვეთა გამოწვევები.

ონლაინ სწავლებაზე გადართვა სწრაფად მოგვიხდა. გასული სასწავლო წლის მცირე გამოცდილების მიუხედავად, ახალი და უფრო შრომატევადი აღმოჩნდა დისტანციური სწავლების ფორმატი.

სკოლა სწრაფად და ორგანიზებულად მოემზადა სასწავლო წლის დასაწყებად, მასწავლებელთა უმრავლესობა დისტანციურ სასწავლო პროცესს ZOOM პლატფორმის, ხოლო მცირე ნაწილი SCHOOL BOOK-ის გამოყენებით წარმართავს. საჭიროების შემთხვევაში მოხერხებულად იყენებდნენ მესენჯერის შესაძლებლობებსაც.

ვახორციელებდით სააღმზრდელო საქმიანობებსაც. ასე, მაგალითად,

მასწავლებელი და მე-12 კლასის აღმზრდელი **ქ. ილურიძე-** თვეში ერთხელ გვქონდა დისტანციური ჩართვა **-„აღმზრდელის საათი“.** ვცდილობდით, რომ ერთმანეთთან ამ სახის ურთიერთობით დაგვეძლია პანდემიით გამოწვეული ე.წ. „კარჩაკეტილობა“.

„აღმზრდელის საათის“ თემატიკა: - „ჩემი მომავალი პროფესია“, „ლიტერატურა - წყარო სულისა“, „პანდემიამ საკუთარი თავი შემაცნობინა“, „რა გავაკეთე... რას ვაკეთებ და რას გავაკეთებ...“

ნონა სანაძე (მე-6 კლასი) - ორ კვირაში ერთხელ სააღმზრდელო კლასთან მქონდა ონლაინ შეხვედრები, ვსაუბრობდით თემებზე: „როგორ ვებრძოლოთ მავნე ჩვევებს“, „მე მაქვს უფლება, მე ვალდებული ვარ“, „სიყვარული ადამიანის ცხოვრებაში“ და ა. შ. რაც ხელს უწყობდა მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გაღრმავებას.

ასევე პერიოდულად ტარდებოდა კლასის საათი მოსწავლეთათვის საჭირო და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც თავიანთ ანგარიშებში აღნიშნავდნენ აღმზრდელები.

საახალწლო ონლაინ ზეიმების ჩატარებაში, მოსწავლეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები. ქართული ენისა და ესთეტიკის კათედრების ინიციატივით მოსწავლეებისათვის გამოცხადდა ნახატებისა და ჩანახატების საახალწლო კონკურსი: „ფიქრები ახალ წელზე“, რომლის მიზანი იყო COVID პანდემიის გამო შექმნილი ყოფა გაგვეხალისებინა ალბიონელებისათვის, აგვემაღლებინა მათი მოტივაცია. თემატიკად შეთავაზებული იქნა: „ზამთარი, ახალი წელი“. საკონკურსო პირობების თანახმად, მოსწავლეთა ნამუშევრები განთავსდა სკოლა „ალბიონის“ ფეისბუკ გვერდზე, გამარჯვებულად ჩაითვალა ის მოსწავლეები, ვინც ყველაზე მეტი მოწონება შეაგროვა. კონკურსი ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფში: პირველი-მეექვსე და მეშვიდე-მეთერთმეტე კლასებში. გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ, დაწყებით საფეხურზე : **კონსტანტინე ხარშილაძე** (3^4კლასი, ნახატი), **ელენე ყანდაშვილი** (6^2კლასი, ჩანახატი). საბაზო საფეხურზე: **ლუკა დურგლიშვილი** (9^2 კლასი, ნახატი), **ნათია ლიპარტელიანი** (7^3კლასი).

კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, ხოლო მონაწილეები-სიგელებით.

საახალწლო არდადეგების შემდეგ თავიანთი ფიქრები და შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს ჩვენმა „უჩვეულოდ“ დაბრძენებულმა „ალბიონელებმა.“ თემა „უჩვეულო ახალი წელი“ და „უჩვეულო არდადეგები“ იყო:

„კაცობრიობის ცხოვრების წესი შეიცვალა, ფასი დაკარგა ცალკეულმა ჩვეულებებმა და ღირებული გახდა ყველაფერი ის, რაც აქამდე ყოველდღიურობა იყო.“

კლასების აღმზრდელები ქმნიდნენ კლასის დახურულ FACEBOOK ჯგუფებს, სადაც ერთმანეთს უზიარებდნენ სიახლეებს, პრობლემებს, სხვადასხვა ინფორმაციებს. გამოვავლინეთ რამდენიმე მოსწავლე, რომელთაც ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნათ ონლაინ სასწავლო პროცესისა და არსებული შეზღუდვების გამო. კლასის აღმზრდელების ინფორმაციის საფუძველზე საქმეში ჩაერთო სკოლის ფსიქოლოგი **ლელა ჯავაშვილი**, რომლის რეკომენდაციების გათვალისწინებამ სასიკეთო შედეგები გამოიღო.

ჩვენი კოლეგები დღემდე ფიქრობენ, ეძიებენ და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. ცდილობენ სახალისო და საინტერესო გახადონ საგაკვეთილო პროცესი, ყურადღების არედან არ გამოეპაროთ აღსაზრდელთა განცდები და საჭიროებები. ჩვენც მათთან ერთად ყოველდღიურად ვიზრდებით და ვვითარდებით.

სკოლა **„ალბიონში“** 40 უფროსი და 2 წამყვანი მასწავლებელი მოღვაწეობს.

აქ პირველი კლასიდან ხორციელდება საგნობრივი სასწავლო პროცესი.

წელს სკოლას დაემშვიდობა 28 კურსდამთავრებული, მათ შორის მედალოსანია - 4. იმედი გვაქვს, სექტემბერში სწავლას უფრო ორგანიზებულად შევუდგებით.“

ალექსანდრე ჯავახიშვილი,
შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“ დირექტორი.

გვჯერა, **„ალბიონელები“** არა თუ შეინარჩუნებენ ადრინდელ მიღწევებს, არამედ უფრო წინაც გაიჭრებიან.

ახლა კი სასწავლო წლის მშვიდობიანად დასრულებას გილოცავთ. ხალისიან, შინაარსიან, ჯანსაღ დასვენებას გისურვებთ!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

მე-8 ბაგა-ბაღმა ლიდერობა შეინარჩუნა

ცეროდენებს მუდამ ემახსოვრებათ

თბილისის საბავშვო დაწესებულებებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია მე-8 ბაგა-ბაღი, რომელიც სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობით, ჰიგიენის კუთხით თუ დისციპლინით ლიდერთა პოზიციებს ინარჩუნებს და ყოველთვის მოწინავეა. ამიტომაც, მშობლებიც კმაყოფილები არიან და პატარებს აქ გატარებული წლები მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ. როცა

ასე ყველაფერი წესრიგშია, ეს რა თქმა უნდა, კარგი მენეჯმენტის შედეგია. აქ ერთიანობა და გუნდურობაა მუშაობის მთავარი პრინციპი, ამტომაც ერთობლივი ძალისხმევით აღწევენ წარმატებებს და პოპულარობასაც. ბაგა-ბაღში სანიტარული წესები და კოვიდ-რეგულაციები ზედმიწევნით დაცულია

საბავშვო ბაღს ,უკვე ცამეტი წელიწადია, შესანიშნავად **ხელმძღვანელობს ჟუჟუნა (ფისო) სარსევანიძე-ჩაჩიბაია,** რომელიც ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი საპატიო სტუმარი და აქტიური რესპონდენტია. ქალბატონმა ფისომ ამ ხნის მანძილზე, არაერთი წარმატებული საქმე განახორციელა, მრავალ კარგ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი.. გაიზარდა ბავშვთა რაოდენობა და დაემატა ჯგუფები. ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად მოწერიგებულია და ბაგა-ბაღების სააგენტოს თანადგომით, ბაღი კიდევ უფრო გალამაზდა. შენობა ძველია, 1938 წელს არის აშენებული, მაგრამ საკმაოდ მყარია და პატარებისთვის შესაბამისი გარემოა შექმნილი. დირექტორის მონდომებით და სააგენტოს მხარში დგომით, დიდი სარემონტო სამუშაოები განხორციელდა, შეკეთდა სახურავი, ბაგა-ბაღი აღიჭურვა თანამედროვე საჭირო ინვენტარით.

ეზოს ჩაუტარდა რექონსტრუქცია შეცვლილია ღობეც და ჭიშკარიც. ბაღი უსაფრთხოა პატარებისთვის, აქ დამონტაჟებულია ხანძრის დეტექტორი და უსაფრთხოების ბადეები.

მე-8 ბაგა-ბაღში არაერთი აქტივობა და შემოქმედებითი ღონისძიება იმართებოდა პანდემიამდე. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. აქაური აღსაზრდელები არაერთხელ გამოსულან ფართო საზოგადოების წინაშე და მაყურებელთა დიდი სიმპათიაც დაუმსახურებიათ.

ბაღი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციური კადრებით, რაც დღემდე გრძლდება. საგულისხმოა, რომ დირექტორი და ბაღის მთელი კოლექტივი მუხლჩაუხრელად ზრუნავს ბაღის კეთილდღეობასა და პატარებისათვის კომფორტული გარემოს შექმნაზე. აქ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ აღმზრდელობითი პროცესი სათანადოდ წარიმართოს. წარმატებით ხორციელდება „სასკოლო მზაობის“ პროგრამა და ბავშვები შესანიშნავად არიან მომზადებულები.

მე-8 ბაგა-ბაღის თანამშრომლები ერთ გუნდად არიან შეკრულნი და ერთობლივად მართლაც, უდიდეს საქმეს აკეთებენ. ისინი დღედაღამ ზრუნავენ მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებაზე..ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი, თავდაუზოგავად იღვწიან იმისთვის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება პატარებისთვის იყოს სასურველი და მიმზიდველი. ბაღი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მშობლებიც კმაყოფილნი არიან.

ანანო სამელია

165-ე სკოლა – პანდემიის პირობებში

ცოდნაც, გამოცდილებაც და მონდომებაც



თანამედროვეობის ერთი სიმახინჯეთაგანი საიდან-სად ყურით უხვად მოთრეული უცხო სიტყვებია და რაც მეტად არახუნებენ მათ, სჯერათ, უფრო განათლებულებად წარმოვჩინდებითო. არადა, უმეტესობამ ხეირიანად ამ უცხო სიტყვათა მნიშვნელობაც არ უწყის. მაგრამ, თუ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობისა არაფერი გაეგება, მისი მეშვეობით გამოხატულს როგორღა გაისიგრძეგანებს, როგორ ჩასწვდება მის არსს?!

აგერ, ლამის ძაღლმა და კატამაც იძახოს პანდემია, პანდემიაო, მაგრამ რამდენმა იცის ამ სიტყვის ნაღდი მნიშვნელობა?! თითზე ჩამოსათვლელმა და ამიტომაც ვერ ვიაზრებთ სიღრმისეულად ვითარების ტრაგიზმს.

პანდემია ბერძნული სიტყვაა და საერთო-სახალხოს, საყოველთაო ეპიდემიურ დაავადებას, ფართოდ გავრცელებულ ეპიდემიას, ანუ „ჩვეულებრივ“ ეპიდემიაზე გაცილებით მასშტაბურ, ძნელადმოსავლელ მოვლენას ნიშნავს.

აი, ასეთ ვითარებაშია ლამის მთელი მსოფლიო.

ცხადია, განათლების სისტემა ერთ-ერთი მოწყვლადი ადგილია ასეთი თითქმის უკიდეგანო უბედურების დროს და მით უფრო დასაფასებლები არიან დარგის ის მუშაკნი, ვინც მტკიცედ დაუხვდნენ პანდემიას და, დიდი სიძნელეების მიუხედავად, ღირსეულად განაგრძნობენ ყმაწვილების სწავლა-აღზრდის ესოდენ საპატიო და რთულ საქმეს.

თბილისის 165-ე საჯარო სკოლისთვის, ვისაც სათავეში განათლების დარგის გამოცდილი, ამაგდარი მუშაკი, ქალბატონი **მაია ჯაბაური** უდგას, პანდემიით წამოჭრილი პრობლემები ჩვეულებრივზე რთული გადასაჭრელი შეიქნა. შეიქნა – ობიექტური

მიზეზის გამო: სკოლის შენობა ძირეულად განახლდება, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი გახდება, რაც თავისთავად, დიდებულია და სკოლის პედკოლექტივი დიდი იმედებით აღსავსე ელის დღეს, როცა მშობლიურ კედლებს დაუბრუნდება, რადგან მთელი ძალისხმევის მიუხედავად, თუ სათანადო პირობები არ იქნა, პედაგოგთა მარგი ქმედების კოეფიციენტი მაინც ვერ იქნება ძალისხმევის ტოლფასი.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, ვიდრე ეს ნანატრი დღე დადგება, 165-ე სკოლის 740 მოსწავლე ორ – 41-ე და 54-ე საჯარო სკოლებშია შეხიზნული. მართალია, მასპინძლები ყოველმხრივ ცდილობენ სტუმარს ხიზნობა არ აგრძნობინონ, მაგრამ, დამეთანხმებით, ასეთი გადანაწილება, მით უფრო პანდემიის პირობებში, კიდევ უფრო ართულებს სწავლა/სწავლების ნორმალურ კალაპოტში წარმართვას.

ობიექტურად ასეა, მაგრამ პედაგოგთა კოლექტივმა, სკოლის ყოველმა მუშაკმა – მოგეხსენებათ, სკოლა რთული ორგანიზმია და მისი წარმატება თითოეული სეგმენტის გამართულ, ურთიერთშეთანხმებულ მუშაობაზეა დამოკიდებული – სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვისა და პანდემიის შესატყვისი რეგულაციების განსახორციელებლად საჭირო ყველა პირობის შექმნა შეძლო.

პირველის დასტური მოსწავლეთა წარმატებები და მათი კმაყოფილი მშობლები არიან; მეორისა კი – შრომის ინსპექციისა და განათლების სამინისტროს შემოწმებების შედეგად დადებული დასკვნები.

ყმაწვილები ირჩევენ, იარონ სკოლაში, თუ დისტანციურად ისმინონ გაკვეთილები.

ქალბატონი მაიას თქმით, შარშან მარტში რომ დაიწყო ონლაინსწავლება, თავიდან შიშობდა, როგორ ვუპასუხებთ ამ გამოწვევასო, მაგრამ პირველივე კვირას გაიმართა სისტემა, პედაგოგებმაც მალე აუღეს ალღო დისტანციური სწავლების სპეციფიკას და მაქსიმალურად ხარისხიანად წარმართავენ სასწავლო პროცესს.

დირექტორიც, უპირველესად პედაგოგია. ოღონდ, მას მეტი პასუხისმგებლობა აკისრია და სწორედ პედაგოგის პოზიციიდან, ქალბატონი მაიასთვის ცოცხალი გაკვეთილი, მასწავლებლისა და მოსწავლის ცოცხალი ურთიერთობაა უმთავრესი. თუმცა, მისივე თქმით, სწორედ ასეთ ვითარებაში უნდა გაცხადდეს ყოველი პედაგოგის, მთლიანად კოლექტივის ცოდნა, გამოცდილება და მონდომება.

165-ე სკოლის პედაგოგებს ერთიც უხვადა აქვთ მომადლებული, მეორეცა და მესამეც და, როცა კაპიტალურად გარემონტებულ-განახლებულ თავის კედლებში განაგრძობენ მუშაობას, უფრო მეტად გამოავლენენ ცოდნასაც, გამოცდილებასაც და მონდომებასაც.

ეკატერინე გურგენიძე

156-ე ბაგა-ბაღის წარმატების საიდუმლო

პატარები სკოლისთვის მზად არიან

თბილისის 156-ე ბაგა-ბაღი ერთ-ერთი გამორჩეული საბავშვო დაწესებულებაა როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი კუთხით, ასევე სანიტარული თვალსაზრისით. აქ პატარების განვითარებისთვის სრული კომფორტია შექმნილი. დედაქალაქის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მხარში დგომით, აღნიშნული საბავშვო დაწესებულება, კიდევ უფრო დამშვენდა და ესთეტურად მომხიბვლელი გახდა.

ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს გამოცდილი მენეჯერი და შესანიშნავი პიროვნება **ელენე თურმანიძე.** იგი, დიდი გულისყურით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას და მზრუნველობას არ აკლებს პატარებს. პანდემიის პირობებში, აქ თითოეული თანამშრომელი სრულად იცავს რეგულაციებს და ამიტომ მშობლებიც მშვიდად არიან.

ელენე თურმანიძე: სასწავლო პროცესის დასაწყისშივე, ჩვენი ბაგა-ბაღი სრულ მზადყოფნაში იყო. ამისთვის, ჩატარდა სანიტარული სამუშაოები და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები კოვიდ 19 -ის რეგულაციებთან დაკავშირებით. ასევე, ჯგუფებში განთავსდა სხვადასხვა სახის მეთოდური მასალები. საბავშვო ბაღს აქვს საკმაო ფართო სარეკრეაციო ზონა. ეზოს დიდი ნაწილი მოასფალტებულია და გამწვანებული, დაყოფილია ცენტრებად. ასევე, აღჭურვილია საბავშვო ატრაქციონებით, ქვიშისა და რაგბის მოედნით, სადაც აღსაზრდელებისთვის უსაფრთხო გარემოა შექმნილი ფიზიკური აქტივობებისათვის. შენობა-ნაგებობის გარე ფასადი შეღებილია და მოხატული. მოწესრიგებულია საბავშვო ოთახები, დარბაზი, სამზარეულო და სველი წერტილები,

რომელიც ბავშვებზე მორგებული სტანდარტის მიხედვით გარემონტდა. განახლდა სამზარეულოს ინვენტარი და ბაღი აღიჭურვა თანამედროვე, მეთოდური ლიტერატურით. ძალიან მადლიერი ვართ ბაგა-ბაღების სააგენგოს მხარში დგომით და დახმარებით. **კახა გვანცელაძის** ინიციატივით, ბაღში აღსაზრდელებს გადაეცათ ჰარტის პროგრამით გათვალისწინებული სააღმზრდელო მასალები, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას მთელი კოლექტივი. ჩვენი აღსაზრდელები მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში. პედაგოგებთან ერთად ვზრუნავთ მათი შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბებაზე. ვიზუალური საშემსრულებლო ხელოვნების თამაშებით, ვცდილობთ პატარებს განუვითარდეთ, შემოქმედებითი

ფანტაზიები, ცნობისმოყვარეობა და აზროვნება. მოგეხსენებათ, თამაში და დადებითი ემოციები ძალიან მნიშვნელოვანია პატარების განვითარებისთვის. ჩვენთვის პრიორიტეტულია აღსაზრდელების კარგი განწყობა, ორიენტირება პროცესზე, თავისუფალი არჩევანის, რაც საბოლოოდ, განაპირობებს მაღალ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას. ბაღში უკვე ტრადიციად იქცა ბავშვებისთვის წამახალისებელი ვარჯიშები, როგორც ეზოში, ასევე დარბაზში.

156 -ე ბაგა-ბაღში სააღმზრდელო პროცესისთვის ნამდვილად ჯანსაღი გარემოა შექმნილი. ბაღი დაკომპლექტებულია პროფესიონალი კადრებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დირექტორის მოადგილის **მაკა ჯიბუტის**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **მეგი მიქაძის**, მისი თანაშემწის **ნინო მესხორაძის** და ფსიქოლოგის **ნათელა ბედიაშვილის** თავდაუზოგავი შრომა. ასევე, ქებას იმსახურებენ საქმის მწარმოებლები **ხათუნა ხვიჩია, მალხაზ უჯმაჯურიძე** და თანაშემწე **ნათია მინდიაშვილი.** ხაზგასასმელია სპეციალური პედაგოგების **ნანა ქადაგიშვილის**, **ვერა ხურცილავას, ხათუნა მახარაშვილის** და **მარიამ ესაძის** საქმიანობა. ფასდაუდებელია აღსაზრდელებისა და მათი თანაშემწეების მუხლჩაუხრელი შრომა და დედობრივი მზრუნველობა, რასაც თითოეული აღსაზრდელის მიმართ იჩენენ. მადლობა ყველა აღმზრდელსა და თანაშემწეს ბავშვებზე ასე დედობრივი ზრუნვისათვის.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სააღმზრდელო პროცესში მშობელთა ჩართულობას . სწორედ, ოჯახისა და ბაღის პედკოლექტივის კოორდინირებული საქმიანობა განაპირობებს 156-ე ბაგა-ბაღის წარმატებას.

მაღალკვალიფიციური აღმზრდელების წყალობით, ბავშვებმაა ,,სასკოლო მზაობის პროგრამა'' წარმატებით გაიარეს და უკვე მზად არიან სკოლაში წასასვლელად.

სულ ცოტა და იწყება დიდი დასვენება, ანუ მხიარული არდადეგები. მის საინტერესოდ გატარებას გისურვებთ 156-ე ბაგა-ბაღელებო.

მზია გოგოძე

ნომრის სტუმარია 173-ე სკოლა

სასწავლო წლის თავმოსაწონებელი შედეგები

დირექტორი ლია თუშური

ამაზე დიდი სკოლა დედაქალაქში მეორე არ მეგულება. რით არის იგი დიდი და დიადი? რით და - მოსწავლეთა კონტიგენტით, ინფრასტრუქტურით, ძლიერი კადრებით, მათი შემოქმედებითი შემართებით, როგორც ილია იტყოდა, „ვერ ერჩის ვერა მის მწვანეს ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი“. მეც დავამატებდი - ვერც პანდემია აფთარი. ეს იმიტომ რომ აქ ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ, რომელთაც ქვემოთ ყველას გაგაცნობთ.

სიძნელეები დაძლიეს, სიახლეებს ალღო აუღეს, დისტანციური სწავლების გამოცდილება შეიძინეს. მოკლედ, ურთულესი სასწავლო წელი უდანაკარგოდ დაასრულეს.

რამ განაპირობა ყოველივე? იმან, რომ ძლიერი პედაგოგიურ კოლექტივს უძღვება მრავალნაცადი, ერუდირებული ხელმძღვანელი **ლია თუშური**. მას მხარს უმშვენებს გამოცდილი, ენერგიული მოადგილეები: **მანანა გორგასლიძე** და **ბონდო დავითური**.

ზოგად მსჯელობას, როგორც თვალსაჩინოება, ყოველთვის სჯობს კონკრეტიკა.

* * *

სკოლის ხელმძღვანელ მუშაკებთან საუბრისას ასეთი შინაარსი გამოიკვეთა: პანდემიის პერიოდში სრულად ზედმიწევნით ხორციელდებოდა რეკომენდებული რეგულაციები. ერთ ბრძენკაცს აქვს ნათქვამი: კადრები წყვეტენ ყველაფერსო. ამ მხრივ სკოლაში სანიმუშო ვითარებაა: სკოლის სიამაყეაა მენტორი მასწავლებელი **რუსუდან გორგაძე.** ამ რანგის პედაგოგები თითზე ჩამოსათვლელნი არიან დედაქალაქში. უიშვიათესი მოვლენაა მენტორის სტატუსიანი დირექტორი. იქნებ სხვადასხვა რაიონში იყვნენ კიდეც ასეთები, მაგრამ მე მხოლოდ ერთს ვიცნობ, **მიმოზა ტყებუჩავას**, 89-ე სკოლის დირექტორს. არადა, მათ რიგებში ერთ-ერთი **ლია თუშური** უთუოდ უნდა იყოს.

ქეთევან გზირიშვილი აღსაზრდელებთან

წამყვანი მასწავლებლების რაოდენობით კი 173-ე სკოლას ვერცერთი შეედრება. ამ სტატუსით არიან: **მადლენა ასლანიკაშვილი, მაკა გეგეშიძე, ლია გელაძე, ირმა გურასპაშვილი, ნინო ვახვახიშვილი, ნანა ზურებიანი, მზია თამაზაშვილი, ლია თუშური, ეკა მაღრაძე, მაკა მოწონელიძე, ნინო ნემსიწვერიძე, ნინო ნიქაცაძე, მზია პატაშური, ირმა ქურციკიძე, ლელა ჩანტლაძე, ევა ცალღელაშვილი** და **თამილა ძმანაშვილი.** წარმატებისთვის ამინდს ქმნიან უფროსი მასწავლებლები რომელთა როდენობა 85-ს აჭარბებს. მაპატიონ, რომ მათი ჩამოთვლის შესაძლებლობა არა გვაქვს. შევეცდებით, მომავალში თქვენი ღვაწლი ღირსეულად დავაფასოთ.

„თვალებზე ადგათ განშორების მსუბუქი ცრემლი“, როცა ოთხი წლის ნალოლიავებ, მე-5 კლასისთვის კარგად მომზადებულ ბავშვებს დაემშვიდობნენ დამრიგებლები: **ნინო კობაიძე, ლენა გურიელიძე, თამარი მაისურაძე, თეა ჟღენტი, ინგა გოგუაძე, თამარ ნოზაძე, ლია გელოვანი, თამარ სეფიაშვილი** და **მადლენა ასლანიკაშვილი.** მათ წარმატებაში გარკვეული წვლილი შეუტანია კათედრის გამგე **ქეთევან გზირიშვილს.**

სასწავლო წლის დასასრულის „ბარაქიანი შემოდგომის“ მონაგარია ასევე 24 მედალოსანი, 18 ოქრო და 6 ვერცხლი. დავულოცოთ მათ და მათ თანაკლასელებს დამოუკიდებელი ცხოვრების ფართო ასპარეზზე გასასვლელი გზა!

„გიგლა, გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა“.

არდადეგებზე და შვებულებაში შინაარსიან, ჯანსაღ, მხიარულ დასვენებას გისურვებთ, 173-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

პოლიტიკაცხებული სტრიქონები

მეტი _ პატრიოტული მუხტი!

დაუნდობელი დრო დაგვიდგა: ვინმეს რომ მიუთითო, პირბადე გაიკეთოს, შემოგიბღვერს, პოლიტიკურად მაწვები, გამოხატვის თავისუფლებას მიზღუდავო.

არა მგონია, ტელე „ობიექტივმა“ შემოგვიტიოს „ძუკუს საქმე ძუკუმ იცისო“, თუ ვურჩევთ: გადაცემათა პროგრამების ბადე ცოტა გადაახალისეთ და პატრიოტული მუხტი უფრო ასწიეთო. „გერბი და საფასური“, „კვალი“, საშინელებათა დეტექტივები განა ცუდია? თავიანთი ფუნქცია აკისრიათ, მაგრამ გამუდმებით ინდაურის საცივიც მობეზრდება კაცს.

არადა, ამას დიდი საეთერო დრო მიაქვს. ეკრანზე იშვიათად ისმის ზაქარია ფალიაშვილის ჰანგები, ზურაბ ანჯაფარიძისა და აკაკი ხორავას ხმა. არასოდეს გადის „დიდოსტატის მარჯვენა“, „გიორგი სააკაძე“, „დათა თუთაშხია“... „ხომ ლამაზია „ობიექტივი“, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“.

ხუთით ერთი

„პალიტრანიუსელები“ ამბობენ: ახალი ამბების მიუკერძოებელი ტელევიზია ვართო. ემა ტუხიაშვილს ხუთი ოპოზიციონერის შემდეგ ერთი პოზიციონერი ობოლივით უზის!

სორე ენის პალატა?

თხუთმეტი წლის წინათ „შაბაშ სიტყვით, შაბაშ საქმით“ თავი დაგვამახსოვრეს ქართული ენის პალატამ და მისმა ოქროპირმა თავკაცმა, აფხაზური ენის მცოდნე ენათმეცნიერმა, ლოტბარ-მომღერალმა ლევან ღვინჯილიამ. შემდეგ დიდი ხნით დადგა დიდი ღამე. ხუთი წელია ექსპრემიერმა კვირიკაშვილმა შექმნა სახელმწიფო ენის პალატა, შექმნა და არსად ჩამი, არსად ჩუმი. სორე „შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი?“

ორმხრივი პირობა

ერთ საზღვარგარეთ გაქცეულ კაცს თანაპარტიელები ეხვეწებიან: ჩამოდი, გვილიდერეო.

– ყველა კუთხე-კუნჭულში გაშალეთ აქციები, მოახდინეთ რევოლუცია. დაამხეთ მთავრობა! ეს პირობა შემისრულეთ და მეც შეგისრულებთ პირობას: ჩამოვალ, სათავეში ჩაგიდგებით. გამზადებულ სუფრაზე მაგარი ბიჭი ვარო.

მლიქვნელობა ვის წინაშე?

ახლახან თბილისში, ვაჟა-ფშაველაზე გაიხსნა ბავშვთა სამყაროს ახალი ცენტრი „მეჯიქ სითი“. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, თქვე კაი ხალხო, ვაჟა ფშაველაზე, დიდი ვაჟას სახელის პატივსაცემად მაინც „ქუჩი“ ან „შვლის ნუკრი“ რომ დაგერქმიათ, ღმერთი გაგიწყრებოდათ?

კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო

ზოგიერთი ოპოზიციონერი იძახის: არა, არ შევალ პარლამენტში! არადა, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერ შევა, რადგანაც საარჩევნო სიით „ობსაიდშია“.

ნაფტალინი

ერთი ნაციონალ-ნამინისტრალი „რეზონანსიდან“ გვეხმიანება: გაჩეჩილაძე, გახარია და ვასაძე ნაფტალინიდან არიან ამოღებულიო. არადა თავად ჯერ ისევ ნაფტალინშია. (ნეტავ, ერთად თუ იყვნენ? აბა საიდან იცის?).

მოსე მწერალი,
თქვენთვის მლოცველ-მღერალი

„სახალხო განათლება“-ის დაფასება

მოგეხსენებათ, ქვეყნის კეთილდღეობა და მომავალი განათლების სისტემისა და ახალი თაობის ღირსეულ აღზრდაზეა დამოკიდებული. განათლების სისტემის მესვეურნი ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რომ ეს მამულიშვილური ვალი პირნათლად მოვიხადოთ ქვეყნის წინაშე. დიდად ვაფასებთ თქვენს გაზეთს, მის თანადგომას, სასკოლო საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და მხარდაჭერისათვის. თქვენი გაზეთით გვეხმარებით, სკოლებმა ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი მიღწევები, წინსვლა და სამომავლო მიზნები. მივცეთ სტიმული პედაგოგებსა და პროფესიაში შემსვლელებს, მივაწვდინოთ ხმა მოსწავლეებსა და მშობლებს.

გიხდით დიდ მადლობას ჩვენი სასკოლო ცხოვრებით დაინტერესებისა და მისი გაშუქებისათვის.

პატივისცემით,
სსიპ 179- საჯარო სკოლის დირექტორი
ხათუნა ნებიერიძე



რედაქტორის მინაწერი: რედაქციის სახელით დიდ მადლობას მოგახსენებთ იაკობ გოგებაშვილის იდეებზე დაფუძნებულ 95 წლის გაზეთის ასეთი მაღალი შეფასებითვის.

117-ე სკოლის წარმატებული ფინიში

სწავლა არ შეჩერებულა, პანდემიამ დაიხია

სირთულეების მიუხედავად, ნაყოფიერი იყო სასწავლო წელი თბილისის 117-ე საჯარო სკოლაში – დირექტორი **მაია მეტონიძე** –სადაც სწავლება ჰიბრიდული მეთოდით მიმდინარეობდა. სკოლას 84 პედაგოგი ჰყავს. წამყვანები: **მაია ბურდული, ლია გორგაძე, ლაშა კუპრაძე, მაია მეტონიძე და ხათუნა ფარულავა**; 18 სსსმ მოსწავლეს –ფსიქოლოგი **თამარ ჩოჩიშვილი**, სპეცმასწავლებლები **მზია ბეგაძე და ხათუნა მელაშვილი,** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტები **ნინო ომანაძე** და **ბექა აფრასიძე** – ემსახურებოდნენ.

სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში აქტიურად მონაწილეობდნენ დირექტორის მოადგილეები: **ლია გორგაძე და მარინა ბერაძე**.

სკოლაში კარგად მუშაობდა საგნობრივი კათედრები: სახელმწიფო ენის (**ლია ჯავჯანიძე);** მათემატიკისა და ისტ-ის **(ნაზი კობახიძე**); საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (**გულნარა მეტრეველი);** საზოგადოებრივი მეცნიერებების **(ეკატერინე ბოჭორიშვილი);** უცხოური ენების **(მაია ბურდული);** ესთეტიკური აღზრდის **(თინათინ ჯაფარიძე);** სპორტის (**მალვინა მოდებაძე),** დაწყებითი საფეხურის (**ეთერ ნანობაშვილი-ნადირაშვილი**).

კარგად მომზადებული მეოთხეკლასელები მე-5 კლასში გააცილეს **მაია ბურდულმა, ნათელა გოგოჭურმა, ნინო ნადირაშვილმა, ცისია რეხვიაშვილმა, ნათია ურდულაძემ და დოდო ცხვარაძე-არეშიძემ.** ახალ სასწავლო წელს კი

შვიდი პირველი კლასი გაიხსნება.

სკოლას შვიდი ოქროსა (**კანჯარაძე ია, კევლიშვილი მარიამი, მარტიაშვილი მარიამი, მეხაშიშვილი მარიამი, ოგანიანი დიანა, სესიტაშვილი ვანო, სუხიტაშვილი ლიზი)** და სამი ვერცხლის (**არაბიძე სოფიო, მწარიაშვილი ეკა, ჯიქია გიორგი)** მედალოსანი ჰყავს.

ნინო ნადირაშვილი: ბევრი დაუვიწყარი ღონისძიება ჩატარდა: **„დედის დღე“, „დედა ენისა“** და **„დედამიწის“** დღეები. მოეწყო პრეზენტაციები **მეფე თამარის** ხსენებისა და **მეფე ერეკლეს** ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

პროექტ **„პატარა არქიტექტორის“** ფარგლებში მოსწავლეებმა

შექმნეს გასართობი **„ჯადოსნური“** პარკის მოდელები; **ქართული სამოსის დღესთან** დაკავშირებით გამოუშვეს კედლის გაზეთები, დახატეს ქართული ტრადიციული სამოსის ესკიზები და ჩაატარეს პრეზენტაცია. ინტეგრირებულ პროექტ **„ჩვენი კუთხეების ხუროთმოძღვრების“** ფარგლებში 4/7 და 4/5 კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია და შექმნეს კედლის გაზეთი, რომელსაც ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ფოტოები დაურთეს.

ნანა ბაღაშვილი - როგორც კლასის ხელმძღვანელი, ვმუშაობ ხელნაწერ ალმანახზე: **წიგნი, რომელმაც ცხოვრებაზე დამაფიქრა**. მე-5 კლასებში გვქონდა პრეზენტაცია **სპიტაკისა** და **რაჭის** მიწისძვრებზე.

ეთერ ჯიმუხაძე: დედამიწის დღესთან დაკავშირებით პატარებმა წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები და გეგმები, როგორ გავუფრთხილდეთ დედამიწას.

ნათია ურდულაძე – 3/6 კლასში **წიგნის საჯაროდ კითხვის**

დღე მოთხრობებისა და ლექსების გამომეტყველებით კითხვით აღვნიშნეთ.

პროექტის **„დედამიწა ჩვენი სახლია“** – მიზანი მოსწავლეთა თვალით დანახული დედამიწის გადარჩენისა და გაფრთხილების გზები იყო 4/5 კლასში. საინტერესოდ წარიმართა სპორტის გაკვეთილი ონლაინ რეჟიმში, სადაც მოსწავლეებმა ისაუბრეს **ჯანსაღი კვების** შესახებ.

საინტერესო პრექტები განხორციელდა 5/2 და 5/3 კლასებში – **„ილია ჭავჭავაძე - წიწამურის მსხვერპლი და მთაწმინდის გუშაგი“;** 8/5 კლასში – **გურამ დოჩანაშვილის** ხსოვნის საღამო –**„სიყვარულს მოუკვდა თავისი უერთგულესი შვილი... ასეთებთან დრო უძლურია: იყო, არის და იქნება... პოსტმოდერნისტი, რეალისტი, გურამ დოჩანაშვილი...“** 9/3 კლასში – **პოეზიის საღამო** ქართველ სიმბოლისტ პოეტთა ლექსებზე; **„დავით გურამიშვილი - გზა ლამისყანიდან მირგოროდამდე.“**

9 აპრილთან დაკავშირებით კედლის გაზეთები მოამზადეს პედაგოგ **დალი სირაძის** 5/3 კლასის მოსწავლეებმა; დისტანციურად აღინიშნა **დავით აღმაშენებლის, თამარობისა და დედამიწის დღისადმი** მიძღვნილი დღეები პედაგოგ **რ. მელუთაურის** 2/4 კლასში. **ანბანის შემობრძანება** იზეიმეს პედაგოგ **მარიამ კულუხოვის** პირველკლასელებმა.

გარემოს დაცვის თემაზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, წარმატებით განხორციელდა პროექტი **„ჩვენ გვიყვარს ბუნება,“** პროექტის ხელმძღვანელი **ლალი ჯღარკავა**.

ერთ საგაზეთო წერილში ძნელია ისაუბრო მთელი წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ იქ, სადაც მთელი გულით ზრუნავენ მომავალ თაობაზე, დისტანციურადაც შესაძლებელი ყოფილა საინტერესოდ, სახალისოდ წარმართო სასწავლო პროცესი.

წარმატებულ ფინიშს გილოცავთ და ბედნიერ არდადეგებს, გისურვებთ, 117-ე სკოლელებო!

ნათია გურგენიძე

ლექსია სპეტაკი სულის ამოძახილი

გულთბილი შეხვედრა პოეტთან

გორის მუნიციპალიტეტის, სკრის თემის, ზედა სკრის ყოფილი სკოლის შენობაში, სადაც, სამწუხაროდ, გაპარტახებული შენობის, ორ შეკეთებულ ოთახში, მყუდროდ დაბინავებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „ბეთლემის“ თაოსნობით შეხვედრა მოუწყვეს ამავე სოფელში აღზრდილ პოეტ **ზურაბ მამულაშვილს.** შეხვედრას უძღვებოდა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი **სოფო ამბროსაშვილი**. სკრის დევნილთა დასახლებიდან პოეტის ლექსები წაიკითხეს სკოლის მოსწავლეებმა **ანი ბუგიანაშვილმა, მარიამ დოკაძემ, მარიამ კეკელიშვილმა, მარიამ კასრაძემ** და **გვანცა კასრაძემ.**

სიტყვით გამოვიდნენ **ცისნამი ყაჩლავაშვილი, მანანა მამულაშვილი, ხათუნა ბალიაშვილი, გიორგი მანელიძე** და „ბეთლემის“ ხელმძღვანელი და შეხვედრის ორგანიზატორი **მერი მაყიშვილი.**

პოეტს მიესალმნენ შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა გაერთიანების ხელმძღვანელი **დავით ახლოური,** ასევე ადგილობრივი კალმოსნები **სოფო ქობესაშვილი, ეთერ სადაღაშვილი, თორნიკე ჩხიკვაძე,** გორის მერიის

კულტურის სამსახურის უფროსი **შორენა სამხარაძე**. თბილისიდან ჩასული სტუმრები **თენგიზ პაპაშვილი, დეზი ემანულიძე, გერმანე საზანოელი, ზურაბ ქობალია, ნიკო ბაღაშვილი** სიტყვით გამოვიდნენ და პოეტს წაუკითხეს, როგორს საკუთარი, ასევე მისი ლექსები.

საღამო თბილ და საინტერესო გარემოში მიმდინარეობდა, რომელიც დააგვირგვინა **ზურაბ მამულაშვიმა** თავისი შემოქმედების გაცნობით.

კვლავაც ღირსეულ მამულიშვილებს აღზრდის

წმიდა კეთილმსახური მეფის - თამარის სახელობის გიმნაზიაში (რომელსაც ეროვნული მოძრაობის აქტივისტი დეკანოზი **მირიან სამხარაძე** უდგას სათავეში) წარმართულ, მართლმადიდებელ ქრისტიანობასა და ეროვნულ ნიადაგზე, სხვა რელიგიათა შემწყნარებლობაზე დაფუძნებულ ძალზე მრავალფეროვან, შემეცნებით და პრაქტიკულად გამოსაყენებელ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, რისი შედეგიც მცოდნე, ზნეკეთილობით გამორჩეული ყმაწვილების აღზრდა და პატრიოტებად ჩამოყალიბებაა, ადრე წერდა ჩვენი გაზეთი. ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და გამოვკვეთავთ, პანდემიის პირობებშიც შეძლო თუ - ვერა გიმნაზიამ კვლავაც ჩვეულ სიმაღლეზე წარემართა ერთობ რთული და საპატიო მუშაობა სამშობლოსათვის ჰარმონიული პიროვნებების აღზრდა რომ ჰქვია.

გიმნაზიამ, პანდემიის პირობებში, დისტანციური სწავლება წარმატებულად წარმართა. სწავლება zoom პლატფორმის გამოყენებით მიმდინარეობდა, რამაც გაკვეთილების უფრო მრავალფეროვნად და საინტერესოდ წარმართვა განაპირობა. ცხადია, უპირველესად მოსწავლეთა უსაფრთხოება იყო დაცული. მასწავლებლები, სწრაფად რომ აუღეს ალღო ასეთი სწავლების სპეციფიკას, კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებას (მესენჯერი, eschool და სხვა) იყენებდნენ. იანვარში სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ, მოსწავლეთა უმრავლესობა „ცოცხალ“ სწავლებას დაუბრუნდა. მხოლოდ მცირე ნაწილმა განაგრძო სწავლა დისტანციურ რეჟიმში.

ცხადია, სწავლა/სწავლების პროცესმა ყოველი მოსწავლე უნდა მოიცვას. ეს ასეცაა და ამის ერთი გამოხატულება ისიცაა, რომ 27 კურსდამთავრებულიდან ხუთი - **ალექანდრე მოსიაშვილი, ლიზი ლაზარიშვილი, თორნიკე ცომაია, მარიამ ცომაია, ნატა წიქარიშვილი** - ოქროს მედალოსანი ჰყავს.

ცოდნას, მორალურ თვისებებს სასწავლო დაწესებულებებში დაწყებით კლასებში ეყრება საფუძველი და გიმნაზიის 40 მოსწავლიდან, მეოთხე კლასი რომ დაამთავრა (დამრიგებლები: **მაია ხორბალაძე** და **ბელა ოქრიაშვილი**), თითოეულს აქვს სათანადო მომზადება.

გიმნაზიაში ასევე აქტიურად მიმდინარეობდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. მოსწავლეებმა ადვილად აუღეს ალღო ახალ გამოწვევებს და დაინტერესდნენ ონლაინ აქტივობებით.

უფროსკლასელებმა მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, ხოლო დაწყებითი კლასები აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა კონკურსში (კინგს, ოლიმპი და სხვა). რეგულაციების დაცვით აღნიშნა **„დავითობა“ დიდგორის ველზე,** 23 თებერვალს კოჯორში პატივი მიაგეს - იუნკერების, 9 აპრილს

კი - თავისუფლებისათვის დაღუპულთა ხსოვნას. გაიმართა **დედის დღისადმი** მიძღვნილი საღამოები; **„ქართული ენის დღე“,** რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება. განსაკუთრებით კარგი აქტივობები შესთავაზეს **პირველკლასელებმა.** გაიმართა კალიგრაფიის კონკურსი **ძველ ქართულ ენაში.** დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეთა კონფერენციამ **„ხმა ღვთისა და ხმა ერისა“**, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საქართველოს პირველ პრეზიდენტს **ზვიად გამსახურდიასა** და საქართველოს ეროვნული გმირის **მერაბ კოსტავას** დაბადების დღეს მიეძღვნა. 26 მაისს ტრადიციულად შეიკრიბნენ **მერაბ კოსტავას** ეზოში და ერთად იზეიმეს დამოუკიდებლობის დღე (რეგულაციების დაცვით), უკანასკნელ გზაზე გააცილეს **გიორგი კვინიტაძე.**

სწორედ ამაზე უთქვამთ, ხმალსა ნუ წუნობ სიმოკლით, ფეხი წინ წადგი, მისწვდებაო: გიმნაზიაში, ასეთი რთული ვითარების მიუხედავად, სასწავლო პროცესიც ჩვეულ მაღალ დონეზე წარმართეს და ასე მრავალფეროვანი, ვიმეორებ, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე აქტივობებიც გამართეს.

გიმნაზიის წარმატება დირექციის, პედაგოგების, მისი ყოველი მუშაკის დამსახურებაა. გიმნაზიაში ერთი წამყვანი - **მაყვალა ანთაძე** და 34 უფროსი პედაგოგია: **სალომე ავალიშვილი, იოსებ აფაქიძე, თინათინ ბლიაძე, ალექსი ბლიაძე, ქეთევან გაგოშიძე, მადონა ვარდოშვილი, გუგული ველიაძე, გაიოზ ზანდარაშვილი, ნათელა კაპანაძე, მზიური კოჩალიძე, ნატალია მგალობლიშვილი, თეა მეგრელიშვილი, ნინო მინდიაშვილი, თეონა მოდებაძე, ქეთევან მოსულიშვილი, ნინო მუმლაძე, მაია ნამორაძე, მზაღო ნოზაძე, ბელა ოქრიაშვილი, შორენა ოქრიაშვილი, ნათია პაპაინაშვილი, მაია პეტრიაშვილი, ზინაიდა სისაური, ნინო ტაბატაძე, დავით უნგიაძე, დავით ფერაძე, ქეთევან ყანდარელი, ლია შარიქაძე, თეა ხარაზიშვილი, თამთა ხარატიშვილი, ეკატერინე ხეჩუაშვილი, ლელა ხომასურიძე, ლელა ჯანაშვილი, ლეილა სამხარაძე.**

გვჯერა, წმიდა კეთილმსახური მეფის - თამარის სახელობის გიმნაზია კვლავაც ასე დიდებულად წარმართავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს და ღირსეულ მამულიშვილებს აღზრდის.

მარიამ ხატიაშვილი–გურგენიძე

143-ე ბაგა-ბაღი სიახლეების მოლოდინში

მომზადებულებს გააცილებენ

ამ ბაგა-ბაღს უბნის მშვენებას უწოდებენ. იგი სანზონაში, ხორნაბუჯის ქუჩაზე მდებარეობს და მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მსოფლიოში შექმნილი პანდემიური სიტუაციის მიუხედავად, ბაგა-ბაღი მაღალ

შედეგებზეა ორიენტირებული. აქ წარმატებით განხორციელდა **„სასკოლო მზაობი“**-ს პროგრამა და მშობლებიც საქებარ სიტყვებს არ იშურებენ.

საბავშვო ბაღის სასწავლო აღმზრდელობით პროცესზე და სიახლეებზე გვესაუბრება ბაგა-ბაღის დირექტორი **ირმა მაყიშვილი:**

-ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე და კორონა ვისუსის პრევენციის მიზნით, ბაგა-ბაღი აღიჭურვა ყველა საჭირო საშუალებით, რასაც ითვალისწინებს დღეს მოქმედი რეგულაციები და ზედმიწევნით შესრულდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტი. ჩვენი ბაგა-ბაღის არსებული ფიზიკური გარემო აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომელიც განსაზღვრავს ისეთი სოციალური გარემოს შექმნას, რაც აუცილებელია ბავშვის სწორად აღზრდისათვის. მოგეხსენებათ, არსებული გარემო ბაღის ატმოსფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. აქ დიზაინსა და გაფორმებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და რაც მთავარია, აღსაზრდელებსა და პედკოლექტივზე დადებითად აისახება.

საგულისხმოა, რომ ბაღი ცოცხალი ორგანიზმია და სისტემატურად საჭიროებს როგორც ფინასურ ასევე ადამიანურ მხარდაჭერას, რომ არა ბაგა-ბაღების სააგენტო და ბატონი **კახაბერ გვანცელაძის** სწორი და ძლიერი მენეჯმენტი, შეუძლებელი იქნებოდა ბაღების ასეთი განვითარება. შეუძლებელია არ აღინიშნოს ბატონი კახას, როგორც ძლიერი ხელმძღვანელის და კარგი მენეჯერის დადებითი მხარეები, რაც საგრძნობლად აისახა დედაქალაქის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებზე.

143-ე ბაგა-ბაღში სანიმუშო წესრიგია და დიდი ყურადღება ექცევა სანიტარულ წესებს და ჰიგიენის დაცვას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პატარების კვებაც მაღალ დონეზეა და ფიზიკური აქტივობაც. **„სასკოლო მზაობი“-ს** ჯგუფებში ხორციელდება ყველა ის დაგეგმილი აქტივობები, რაც სახელმწიფო პროგრამითაა გაწერილი.

ამჟამად, აქ არის სამი გამოსაშვები ჯგუფი, რომელთა აღმზრდელები არიან: **ოლღა ტურაშვილი, ეკა ლაგურაშვილი** და **ეკატერინა წიქარიშვილი.**

მათი თანაშემწეები - **მარინე ჯადუგიშვილი,მანანა ჭიაბერაშვილი, ქეთევან ჩადუნელი, თათია ღუდუშაური, ხათუნა ბუზალაძე** და **ანა ცუცქირიძე.**

დირექტორისა და ბაღის პედკოლექტივის ერთობლივი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია ის, რომ ბაგა-ბაღი წარმატებულია, პატარებიც კმაყოფილები არიან და მშობლებიც, ამიტომაც,

მსურველთა რიცხვიც იზრდება.

მხიარულ არდადეგებს გისურვებთ 143-ე ბაგა-ბაღელებო!

მზია გოგოძე

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔ ᲡᲐᲖᲐᲜᲝᲔᲚᲘ

მონატრება...

*ვუძღვნი ჩემს მშობლიურ ზ.საზანოს საჯარო სკოლას და ჩემი პირველი მასწავლებლის ქ-ნ **ვენერა სარალიძის** ნათელ ხსოვნას.*

უსპეტაკესი გრძნობის სადარი,
საამო ბგერა ჩვენი მწყემსისა,
პედაგოგობა? ცოდნის ტაძარი,
ტკბილი ნიავი ზურმუხტ ზეცისა.

ჩემი სკოლა რომ მოვინახულე,
ყველგან დავიწყე მე ბორიალი,
ძველი შენობაც, მოჭირნახულე,
დიდი აკაკის მემორიალიც.

კაკლის ხემ მითხრა, სხვებსაც მოველით,
თქვენა ხართ ჩვენი ფიფქიც, თან ტანიც,
მეფერებოდა ირგვლივ ყოველი,
ბზის ბუჩქებიც კი ნლების ამტანი.

თუთის ხემ კიდევ ჩვენო აღზრდილო,
ვამაყობთ როგორც ყურძნის მზე წვენით,
დაჯექ, გვიამბე თბილო ყმაწვილო,
ცხოვრების ჭაპანს როგორ ეწევი.

იმ წამს ისეთი სიჩუმე ახლდა,
მცირე ფაჩუნიც თითქოს ნაკლს თოვდა
ჩიტი მოფრინდა, ამაყი გახლდათ,
მისი ჟღურტულიც, მწვავდა, მაკრთობდა.

რას გავიგებდი მე მის გალობას, ჰხარობდა
როგორც წყარო ანკარა,
მე ვიდრე უფალს ვთხოვდი წყალობას,
ლოცვაც სიმღერად ჩაარაკრაკა.

იქ ყოფა მსურდა, არ მოვდიოდი,
მელოდებოდა სკოლის ჭიშკარი,
მეძახდა როცა გამოვდიოდი,
ბავშვური გრძნობის ნაზი ცისკარი!

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲥᲝᲒᲐᲚᲘᲐ

ცოდვა და მადლი რომ ინონება

სიყვარულისთვის კაცი დასაჯო,
ვის გაუგია ან სად?
ერთი მითხარი, ვის რა ვასწავლო,
აღარ დავდივარ არსად.

ღალატისათვის არვინ ისჯება,
სიყვარულისთვის - ყველა.
თუმცა ჭკუაში არ დაგიჯდება,
მაგრამ მე მაინც მე ვარ.

კაცობრიობა სამყაროს ვერ ცვლის,
მაგრამ პირიქით ხდება,
სიყვარულისთვის მრავალჯერ დასჯილს
მუდამ თან დასდევს სევდა.

ღალატისათვის წახალისებულთ
რა ენაღვლებათ, ნეტა,
ამქვეყნიური ყველა სიკეთით
ისარგებლებენ მეტად.

მაგრამ არსებობს სხვა ნეტარება,
სხვა სამართალი კიდე,
ცოდვა და მადლი რომ იწონება,
მე იმ სამართალს მივსდევ.

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

აღდგომის ცეცხლი

ხან ვისეტყვებით, ხან ვისიტყვებით,
ხოშკაკალით და ხორკლიან ენით,
რა საჭიროა ახლა კითხვები,
რატომ და რისთვის გვერევა სენი?

აქ მბრძანებელი ბუნება ავობს,
სიკვდილის შიშით გადადის ძრწოლა,
ფეხზე ამდგარი მსოფლიო დავობს,
საკუთარ თავთან იწყება ბრძოლა.

დარჩით სახლში და სიკეთე ჰქმენით,
უფალი არის მფარველი ჩვენი,
ლოცვასთან ერთად ამ სენის წამალს,
ციდან გაახლებთ ანგელოზს ფრთამალს.

ვინ მშიერია და ვინ მაძღარი,
ბოლო დროს ბრძენი აქციეს ცეტად,
სიყვარულის და ნდობის საზღვარი,
ახლა იხსნება ყველაზე მეტად...

წევს დედამიწა, მოდგმა ადამის,
თავწანყვეტილი, როგორც ქათამი,
არა აქვს რიხი შეთქმულ მამალის,
მომლოდინეა ღვთიურ წამალის...

და დღეს მთავარი ის კი არ არის,
როგორ გავწყდებით: ნყვილად თუ კენტად,
რომ სიკვდილამდე ენა, მამული,
რწმენა შემოგვრჩეს ყველაზე მეტად!

წინააღმდეგო ერთადო ერთის,,
ერთადერთია ამქვეყნად ღმერთი,
დაცემულებო, დაჰყარეთ ვერცხლი,
კვლავ გადმოვიდა აღდგომის ცეცხლი!



ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ

შეკედრებული

როცა ფრთებშესხმული ცაში დავფრინავდი,
მოულოდნელად მეხმა დამარტყა,
სულ დამილეწა ეს ჩემი ფრთები,
ძირს ჩამომაგდო და დამანარცხა.

სიკვდილს ჩავხედე მაშინ საზიზღარს,
ტკივილისაგან გაჩერდა გული,
უფალს შევსთხოვდი იმ დიდ წყალობას,
რომ მიებარა ეს ჩემი სული.

არ წამიყვანა, დამტოვა კენტად,
მხრებზე დამადგა ეს მძიმე ჯვარი,
აწ შეგხედავო, როგორ ღირსებით,
ამ ჯვართან ერთად, იცხოვრებ ქალი!

ამდენი წელი მოვეზიდები,
მხოლოდ ღიმილით, წუწუნით არა,
ხანაც ჩამმუხლა სიმძიმემ ჯვრისამ,
ჩამუხლულიც კი წამოვხტი სწრაფად.

მხოლოდ შენ იცი და ჩემმა ღამემ,
სატრფოს მაგივრად რომ ჩამახუტე,
თქვენ ორმა იცით პირზე ბალიშით,
როგორ ვკიოდი მე გათანგულზე.

მხოლოდ თქვენ იცით ის ოკეანე,
რაც გადმოდინდა თვალთაგან ჩემდა,
მხოლოდ შენ უწყი ჩემო უფალო,
სწორად ვიცხოვრე თუ გცოდე შენდა.

და ამ ყველაფრის მერე გიბედავ,
სულ პაწაწინა ქალის კნავილით,
ჩემში ამდენი ქალი რომ ფეთქავს,
ერთს სიყვარული მიეც ნამდვილი!

ᲖᲐᲘᲠᲐ ᲤᲠᲣᲘᲫᲔ

სად დაიკარგა ლურჯი ოცნება

...**რამდენი** ღამე თენდება თეთრად,
გათენდება და არაფერს ველი.
მე არ მასვენებს ფიქრი წარსულზე
გახუნებული და ძველის ძველი.

ვერ გავაგრძელე ბრძოლა... დავნებდი,
ვერ შევერკინე კანონებს ჟამთა,
და დავრჩი მარტო გაძარცულ სულით,
ღმერთის იმედით, საკუთარ თავთან!

ვინ იცის კიდევ წინ რა გზებია,
ვფიქრობ და ფიქრსაც ცრემლები ერთვის,
ერთი დროც მოვა, იქნება გვიან,
თუკი ოდესმე ილოცებ ჩემთვის...

სად დაიკარგა ლურჯი ოცნება,
ვისთვის სრულდება, სად იარება...
სხვა გზით წავედი და ავცდით ერთურთს,
შენ... ჩემო წილო ბედნიერებავ!..

ღამე აწვალებს არეულ ფიქრებს,
ხან დაწყობილს და ხანაც ცვალებადს,
და მე დავყურებ ზემოდან, თითქოს,
ოცნების ტანჯვით გარდაცვალებას!



ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მონოლოგი

მე ღმერთის ძე ვარ და იესოს შთამომავალი,
აუ, რამდენი საუკუნე, წელი მრავალი
გავიდა დღემდე ბედნიერიც, გულშემზარავიც,
მაინც არ დავთმე ჩემი ცა და ჩემი მთა-ბარი.

ვიყავ ეული, ვიყავ მარტოც და ხალხმრავალიც,
არ დამიგდია საჭრეთელი, ფუნჯი, კალამი,
ყველას ექიმი მე ვიყავი, ყველას წამალი,
მაინც მე მტრობდა მომავალიც და წარმავალიც.

მყავდა მირიან, სვიმონ მეფე, მყავდა თამარი,
მყავდა დავითი, ვახტანგი და წმინდა გიორგი,
წმინდა ქეთევან, წმინდა ნინო ისე თამამი,
რომ მათი რწმენით და სიცოცხლით მე მოვდიოდი.

მე მოვდიოდი ბრძოლით, შრომით, კარგი სალამით,
ლოცვით, კურთხევით, სიმღერით და ხშირად ვარამით,
ცად მიფრენია, დამიცია ბარში კარავიც,
ხან დედა მყავდა, ხან – მამა და ხან კი – არავინ.

წინსვლის მაგიერ ყველა სავალ გზას მიკეტავდნენ
და როცა მკერდზე ნამის ნაცვლად ცრემლი მაწვიმდა,
როცა ყიდიდნენ ჩემს სხეულს და და ფრთებს მიკეცავდნენ,
ასე მეგონა მტერი გულის ნაწილს მაცლიდა.

დღესაც არავის არ ეგონოს უკვე მეშველა,
თავისუფლება ხელის გულზე მიდევს უდაოდ,
მტერი ადვილად ჩემს მიწა-წყალს არ შეეშვება,
ჩემს გადარჩენას გონივრული შველა უნდაო.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲞᲐᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ

უშენობა მკლავს...

მთვარე მაცდურად მინათებდა ლექსის კაბადონს,
დარდმა დაწყვიტა სევდის რითმა-გულის მყესები.
ვერ ვუდარაჯე მაგ ტკივილის ურიცხვ საბადოს,
ვერც სიყვარულის შეგასწავლე ადათ-წესები.

ლექსით ვსულდგმულობ, ლექსით ვქრები,ლექსით ვინთები,
დარდსა და წუხილს აპრილს ვეღარ დავესესხები,
ო, ბნელ ღამეში სევდის მრუმე ლაბირინთებში,
იღვენთებოდა შენს ლოდინში ჩემი ლექსები.

ვაგლახ, საწუთრომ მეც ურიცხვი დარდი მაგემა,
არ კი მიწამლა, არ დამედო აღარც მალამოდ,
შარბათს მასმევდა, მაშინ მითხრა ცრემლით ნაგვემმა,
შხამის ფიალას ახლა მაინც დაგიმალავო.

როგორ მეწადა, შენთვის ერთი თვალის შევლება,
მწუხრის ღამეა, ივლისის თვე და გილგამეში.
უშენობა მკლავს, ხატება კი თავზე მევლება,
აღარც შენს გულმა შემიფარა ამ გრილ ღამეში.

ლოდინმა გახრა გასახრავი ავი ლაგმები,
არც შენმა ტრფობამ მომიტანა დიდი მათა რა,
ამ ცხოვრებიდან ისე როგორ ავილაგმებით,
რომ სიყარულის არ შეგასვა დიდი მათარა.

დაღლილი მთვარე ღამეს ათევს ფანჯრის რაფაზე,
უფლის განგებამ დღესაც რაკი ასე ინება,
ერთსაც დავარტყავ იმ გადათვლილ ბოლო ნაპასებს,
გზას გავუყვები ჩემ სიზმრებთან დასაძინებლად.

ქარმა წამართვა ციდან ღრუბლის ბოლო ნახევი,
აღარც ცრემლები ემეტება ზეცას სამიწედ...
ახლა ისე ვარ, უფლის მადლით ნაკარნახევი,
ლამის ცხოვრება ძუ ლომივით ფეხთით დამიწვეს...

„ონავრებს“ სიხარულს ვერაფერი დაუშლის

„სიხარულში“ პატარები სიხარულით დაბრუნდნენ

მას შემდეგ, რაც კორონა ვირუსის ეპიდემია გლობალურ პანდემიად გამოცხადდა, ჩვენს პლანეტაზე ბევრი რამ შეიცვალა. პასიური პერიოდი უკვე წელიწადზე მეტია გრძელდება და ჩვენც ასე თუ ისე ვეგუებით შეზღუდვებით ცხოვრებას. გასული სასწავლო წლის უდიდესი ნაწილი პატარებმა სახლში გაატარეს და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეჩერებული სასწავლო პროცესი, როგორც იქნა, განახლდა. გამოკეტილ ბაგა-ბაღებში კვლავ გაისმა პატარების ჟრიამული. **კერძო ბაღი „სიხარული“** (დირექტორი **ნატო ტაბატაძე**) განახლებულ სააღმზრდელო პროცესს, პანდემიის პირობებში, სათანადო რეგულაციების დაცვით შეხვდა.

ნატო ტაბატაძე: „კორონა ვირუსმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა, იმ თვალსაზრისით, რომ მოგვიწია საბავშვო ბაღების ფუნქციონირების დროებით შეჩერება. ერთი წლის შემდეგ, კვლავ მოგვეცა საშუალება გაგვეგრძელებინა მუშაობა და მიგვეღო ჩვენი საყვარელი და მონატრებული პატარები.



ამისათვის სათანადოდ მოვემზადეთ. ბაღში სრულად ვიცავთ შრომითი უსაფრთხოების რეგულაციებს და წესებს — აკრძალულია უცხო პირთა შემოსვლა, ხორციელდება თერმო სკრინინგი, ყველაფერი სუფთავდება სადეზინფექციო ხსნარებით.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდა და განათლება ბავშვთა განვითარებისთვის, რისთვისაც უმთავრესია შესაბამისი გარემოს შექმნა. აქ იდეალური პირობებია პატარების სრულფასოვანი აღზრდისათვის, იმისთის რომ მათ თავი კომფორტულად და ბედნიერად იგრძნონ“.

„სიხარულში“ ყოველი დილა მართლაც სიხარულია, რადგან სასიამოვნო მუსიკითა და აერობიკით იწყება. გამაჯანსაღებელი ვარჯიშის გარდა, დიდი ყურადღება ექცევა დაბალანსებულ მენიუს, ჯანსაღ კვებას, სხვადასხვა აქტივობებს, ხელოვნებას, უცხო ენების შესწავლას, საინტერესო შემეცნებით თამაშებს და ა.შ.

„ბაღში წარმატებით ხორციელდება **სასკოლო მზაობის პროგრამა** თამაშით სწავლების მეთოდიკის საშუალებით. **5-6** წლის ასაკის ბავშვებს სკოლისთის ვამზადებთ. ეს მეთოდიკა ხელს უწყობს აღსაზრდელის მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას, მოტორული, სოციალური, ემოციური, მეტყველებითი და შემეცნებითი უნარების

განვითარებას. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვის მომზადებას პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის. იგი ეხმარება თითოეულ მათგანს მაქსიმალურად განავითაროს თავისი პოტენციალი და ჩამოუყალიბდეს საჭირო უნარ-ჩვევები მომავალი ცხოვრებისა და წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისთვის.“

მართალია, ვირუსი არსად წასულა და პანდემია გრძელდება, მაგრამ ვიმედოვნებთ, ამისა სასწავლო წელი, შესაბამისი რეგულაციების ფონზე, ლამაზად და წარმატებით დასრულდება. ახალ სასწავლო წელს ახალი შემართებით, კიდევ უფრო გალამაზებული, დაცული, მაღალი შინაარსობრივი მხარის **კერძო ბაღი „სიხარული,“** კვლავ უმასპინძლებს აღსაზრდელებს.

ახლა კი ხალისიან, ჯანსაღ არდადეგებს და მეტ სიხარულს გისურვებთ!

ნათია გუგუნავა

ლეილა ვადაჭკორიას ოქროს დიდაქტიკა

ანდაზებზე დამყნობილი საბავშვო ლექსები

დიდი ხანია მსოფლიო ფსიქოლოგიაში დამკვიდრებულია აქსიომა: ბავშვის შემეცნებითი აზროვნება ხატოვანია. ის ძნელად ჰგუობს მხოლოდ ცნებებით მსჯელობას. შიძლება ზეპირად იცოდეს ბავშვმა ანდაზები, მაგრამ მისი დედააზრი მიუწვდომელი დარჩეს. მაგრამ თუ საუბარს ცხოვრებისეული მაგალითებით შეაჯერებ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და საბავშვო ნაწარმოებები აღმზრდელობით ფუნქციას ზედმიწევნით შეასრულებს.

ამ მეთოდიკას ოსტატურად ფლობს საბავშვო პოეტი **ლეილა ვადაჭკორია.** ჩვენს წინაშეა პოლიგრაფიულად უზადოდ გამოცემული წიგნი **„ციდან მოკრეფილი ვარსკვლავები“**. იშვიათი მეტაფორაა, ვარსკვლავები ვარსკვლავებივით მოკაშკაშე ლექსებია. კრებულში ერთ დიდ განყოფილებას ჰქვია: **მიჰყევ ბრძენთასა რჩევასა“.** სწორედ აქ არის თავმოყრილი ხალხურ სიბრძნეზე დამყნობილი ლექსები პოეტისა. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

არ მინდა გამომრჩეს წიგნის ბრწყინვალე დიზაინი, რომლის ავტორია ჩინებული ხელოვანი **თამარ ტყაბლაძე,**

ბორის მიშველაძე

***

შრომა გვალამაზებს

შრომამ რომ გაგვალამაზოს,
ყველაფერს კი არ მოვედოთ,
რისი ნიჭიც გაქვს უნარიც,
ის საქმე უნდა ვაკეთოთ.

ზერელედ ნაკეთებ საქმეს
სულაც არა აქვს ფასიო,
ბრძენმა თქვა: „აგორებულ ქვას
არ მოედება ხავსიო“.

რჩევა

მე შორი გზით წასვლას გირჩევ,
ტყით ნუ წახვალ მოკლე გზითა,
თორემ მგელი მოგიტაცებს
წითელქუდა ბავშვივითა.

ესეც ბრძენის ნათქვამია,
ჩემო ძმაო გიგიო:
„შორი გზა მოიარე და
შინ მშვიდობით მიდიო“.

სახარება თაგვის თავზე

ჯიში ჯიშია მაინცო,
დიდი ბებია ამბობდა:
„თაგვს ბუმბულში რომ აწვენდნენ,
მაინც სოროში გარბოდა“.

დაუკვირდი

გესმის, რამდენს ლაპარაკობს,
თან რა ჩქარა გოგო,
ვერ გავიგე ვერაფერი,
ვერც თავი, ვერც ბოლო.

ყველას ნუკი მიენდობი,
შენ რომ იცი, გულით,
დაუკვირდი: „ვინც ბევრს ყბედობს,
იგი ბევრსაც ტყუის.“

ყალბი ავტორიტეტი

ნიკას დაურგავს კაკალი,
ეს დაუნახავს მართას,
გიგიმ კი თქვა, მე დავრგეო,
– უი, რას ამბობ, მართლა?
ეს ყალბი ავტორიტეტო
დიდხანს ვერ გაძლებს, გიგი,
ამბობენ: „რაც არ გერგება,
არ შეგერგება იგი.“

ჯიუტი დათა

ბესომ გვითხრა: თხილის ტოტებს
სულ გაუდის ლაწანი,
შენ კი მაინც აძვერი და
მოადინე ზღართანი.

მერამდენედ აგიხსენი,
ღობე არის ქაცვისა,
მაინც გადააბოტე და
ხედავ, როგორ დაგჩხვლიტა!

ყველაფერზე ამბობ, ვიცი,
სხვას არ უსმენ წამითაო,
„რაც მოგივა დავითაო,
ყველა შენი თავითაო“.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N3 (4597)
2 ივნისი / 2021 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113